



საქართველო

IX წ. საყოველთაო ბაზეთი. IX წ.
№ II. კვირა, 11 მარტი 1901 წელსა. № II.

ბაზეთის ზანი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—სამი შაური.

ხელის-მოწერა მაილება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, და „კვალის“ რედაქციაში, საპიორის ქ., № 15.

ბელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВАЛИ“.


ზინაარსი. მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.—ზინაური მიმოხილვა.—სხვა-და-სხვა ამბები.—თავ. რაფიელ ერისთავის დაკრძალვა—მცირე შენიშვნა, აკაკისა.—მთავრობის გამოცხადება.—სახლდარგარეთ.—ცოლი და ქმარი, მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა.—ისტორიული მეცნიერებიდან.—საპასუხო წერილი ხიდისთავიდან (გურია), აპ. წულაძისა.—ეურნალ-გაზეთებიდან.—მკითხველთა წერილები.—განცხადებანი.

მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.

I. ბოლიტიკოსები.

6. გლადსტონა.

როგორც დავინახეთ, ევროპის კონტინენტზე პოლიტიკური ცხოვრება წმირის აჯანყებითა და სისხლის ღვრით ვითარდებოდა. გასული საუკუნის განმავლობაში ყველა დიდ სახელმწიფოში მოხდა რევოლიუცია და საზოგადოების ძალით განახლება. სულ სხვაა ინგლისი. აქ სახელმწიფოს წეს-წყობილება, ადამიანთა თავისუფლება უმაღლეს ხარისხამდის განვითარდა და ეს სრულიად ნელა და თანდათანობით. გასული საუკუნე ინგლისისათვის ერთი შეუჩერებელი წინ-მსვლელობის საუკუნეა. და აი, ეს მედგარი მიმდინარეობა და ქვეყნის გადემოკრატება შეკავშირებულია გლადსტონის სახელთან. გლადსტონი—ეს ინგლისის განხორციელებული ევოლიუციაა. მასში თავი მოიყარა ცხოვრების თითქმის ყველა კითხვამ, ერის ყოველ ნაირმა მისწრაფებამ, ეპოქის ყოველ ნაირ მღელვარებამ და თვითეულ ამთავანს მან თავისი ბეჭედი დაასვა. იმან იმოღვაწა მე-XIX



გლადსტონი.

საუკ. უკანასკნელ 60 წელიწადს და სწორედ ეს ხანა არის ხანა ინგლისის განახლებისა. ვინ იყო გლადსტონი? ვილლიამ ევარტ გლადსტონი, შვილი მდიდარი ვაჭრისა, დაიბადა 1809 წ. ქ. ლივერპულში. სწავლა მიიღო ოქსფორდში და 1832 წ. არჩეულ იქმნა პარლამენტის დეპუტატად, როგორც კონსერვატორი. ამ დროის პარლამენტი მიწის-მფლობელთა და მდიდარ ვაჭართა პარლამენტი იყო და არა მთელი ხალხის. არჩენის უფლება ისე შევიწროებული იყო, რომ ზოგ საარჩევნო რაიონში ამომრჩეველთა რიცხვი 20—30 კაცს არ აღემატებოდა. გლადსტონი გამოვიდა რელიგიურ უსწორ-მასწორობისა და მონობის (ამერიკაში) დამცველად და დაბეჭდა რამდენიმე წიგნაკი ეკლესიის რეფორმათა წინააღმდეგ. 1834—35 წლ. ის შეიქმნა წვერი პილის სამინისტროსი. ამ დროს დაიწყო დიდი მოძრაობა პურზე ბაყების მოსპობის და პოლიტიკური უფლებების გაფართოებისათვის. გლადსტონს მიანდეს ტარიფის გადაშინჯვა და 1200 სხვა-

დასხვა ბაჟებში 750 ბაჟი სრულიად გააუქმა, რასაც მოჰყვა ქვეყნის აღორძინება. ამ გარემოებამ მასში მოახდინა ღრმა ცვლილება. 1845 წ. ის უკვე სწერდა, რომ სახელმწიფოს სიბრძნე მდგომარეობს არა ერთის რომელისამე კლასის უპირატესობის დაცვაში, არამედ მრეწველობის და მუშების ასეთ უპირატესობის ბორკილებისაგან განთავისუფლებაშია. გლადსტონი დაადგა ბაჟების სრულიად გაუქმების გზას. 1846 წ. გაუქმდა უცხოეთის პურის ბაჟები—ეს მემამულეთა დედა-ბოძი. 1853 წ. ის შეიქმნა კონსერვატორი აბერდენის სამინისტროს წევრი და მის მიერ წარდგენილი პროექტი ზოგი ბაჟების მოსპობის შესახებ მიიღო პალატამ.

ამნაირათ, გლადსტონმა დასტოვა კონსერვატორები და მიემხრო ლიბერალთ, მაგრამ ეს მოხდა ეკონომიურ მოძღვრებაში, პოლიტიკაში ის კიდევ კონსერვატორთ უახლოვდებოდა. ის შეიქმნა კონსერვატორ-ლიბერალი, რითაც გადაიმტერა ორივე პარტია. მაგრამ ჩარტისტთა მოძრაობამ გლადსტონიც გაიტაცა და საარჩევნო უფლებების გაფართოვების მებრძოლათ გამოვიდა. ამ მოძრაობამ დასცა დებრი-დიზრაელის კაბინეტი და 1859 წ. შედგა ლიბერალთა სამინისტრო პალმერსტონის მეთაურობით. გლადსტონი ახლა პირველათ შევიდა ლიბერალურ კაბინეტში და ამ დღიდან ლიბერალთა მეთაურობა არ დაუტოვებია. გლადსტონი დიდის რიხით შეუდგა საარჩევნო პროექტის დაცვას, რომელიც მან პალატას წარუდგინა 1866 წ., მაგრამ, რადგანაც პროექტი ზომიერი იყო, ლიბერალთა ერთი ნაწილი ვერ დააკმაყოფილა და ჯონ ბრაიტის მეთაურობით განშორდა გლადსტონს. პარლამენტში შედგა კაბინეტის მოწინააღმდეგეთა უმრავლესობა და დასცეს კაბინეტი. 1866 წელს შედგა კონსერვატორთა მთავრობა დებრი-დიზრაელისა, ხოლო გლადსტონი გადავიდა ოპოზიციაში. ხალხში დაიწყო დიდი აგიტაცია საარჩევნო რეფორმისათვის და მთავრობაც იძულებული გახდა 1867 წ. გლადსტონის პროექტი დაეკანონებია. საარჩევნო უფლება მიეცა ქალაქის დიდძალ მცხოვრებთ და ამით პარლამენტიც რამდენათმე გადემოკრატდა.

ამავე დროს ირლანდიის საქმეები უფრო და უფრო აიწეწა და ირლანდიელთა შორის დიდი მოძრაობა დაიწყო. გლადსტონმა წაატანა ხელი ამ კითხვასაც და თავის პროგრამის ერთ საჭირ-ბოროტო მუხლად გაჰხადა. 1868 წ. ის პირველად შეიქმნა სამინისტროს მეთაური, რომელსაც მიემხრო ჯონ-ბრაიტიც. ის შეუდგა ირლანდიის კითხვის გადაწყვეტას და დააკანონა პროექტი ირლანდიის ფერმერთა სასარგებლოთ. მან მოახდინა ლიბერალური ცვლილება სახალხო განათლების საქმეში, მუშათა კორპორაციების და გაფიცვის უფლებები გააფართოვა, ერთი სიტყვით, გლადსტონის რადიკალობა აშკარა შეიქმნა. ამან გამოიწვია წინააღმდეგობა თვით ლიბერალთა შორის და გლადსტონის კაბინეტი დასცეს.

ახალ არჩევნებზე გლადსტონი ძლივს გავიდა, ხოლო სხვა მისი ამხანაგი მინისტრები გააშავეს. გლადსტონი შედრკა და ცოტა ხნობით პოლიტიკას განშორდა. ბოლგარელთა აჯანყებამ და ირლანდიელთა არეულობამ ის ისევ გამოიწვია ბრძოლის ველზე. ის მიემხრო ბოლგარელთ და წინააღმდეგ ირლანდიის თვით-მმართველობას (ჰომრული). გლადსტონმა გაილაშქრა კონსერვატორთა

სამინისტროს წინააღმდეგ და არჩევნებზე სრული გამარჯვება ლიბერალთ დარჩათ. გლადსტონი მიწვეულად შეიქმნა სამინისტროს მეთაურად, მიიღო სასტიკი ზომები ირლანდიის ლიგის წინააღმდეგ და ამასთანავე შეეცადა რეფორმების წყალობით შეემსუბუქებია ირლანდიელთა მდგომარეობა. მან დაატყვევა ირლანდიელთა მეთაური პარნელი და სხ. 1884 წ. მან კიდევ გააფართოვა საარჩევნო უფლებები და სრულიად დემოკრატიული ხასიათი მისცა. 1885 წ. კონსერვატორებმა და პარნელისტებმა დაამარცხეს სამინისტრო და გლადსტონიც გადადგა. მის ადგილას დაინიშნა სოლისბიური, მაგრამ არჩევნების დროს გაიმარჯვა გლადსტონმა და შეიქმნა პირველი მინისტრი. ის ახლა შეურიგდა პარნელს, მიიღო მისი ჰომრული და თავის პროგრამად გამოაცხადა. ამან დააშინა მისივე ამხანაგები და ლიბერალთა ერთი ნაწილი, ჩემბერლენის მეთაურობით, მოსცილდა გლადსტონს და კონსერვატორებთან ერთად დასცეს სამინისტრო. გლადსტონი გადავიდა ოპოზიციაში, მოვლო მთელი ინგლისის და ყოველგან გაავრცელა ჰომრულის იდეები. 1892 წ. არჩევნებზე მოიპოვა უმრავლესობა, ჰომრული მიაღებია ქვედა პალატას, მაგრამ უარჰყო ლორდთა პალატამ და გლადსტონმაც ვასცა შესანიშნავი ფრაზა: ძირს ლორდებო! მან მოინდომა ამ არისტოკრატიის ბუდის დანგრევა, მაგრამ მოხუცებამ მოუსწრო, მხედველობა დააკლდა და იძულებული შეიქმნა პოლიტიკას ვასცლოდა.

ამნაირათ, გლადსტონი, პირველათ არისტოკრატიის მომხრე, თანდათან გადემოკრატდა, ქვეყანა განათავისუფლა არისტოკრატიის უფროსობისაგან და გაიყვანა დემოკრატიის გზაზე. მაგრამ ეს შესანიშნავი მოხუცი ვერ ურიგდებოდა მუშათა მოთხოვნილებებს და როცა, 1892 წ., ლონდონში დიდი დემონსტრაცია მოხდა (მონაწილეობა მიიღო 200 ათასმა კაცმა) მთა-მანდებში 8 საათის სამუშაო დღის შემოღების სასარგებლოთ და გლადსტონსაც დებუტაცია გაუგზავნეს, მან უარჰყო ეს მოთხოვნილება. ის იბრძოდა უფრო პოლიტიკური უფლებებისათვის და პოლიტიკურ მოღვაწედ გარდაიცვალა— 1898 წ.

შინაური მიმოსხილვა.

საკვირველი ამბები ხდება ამ ჩვენი ქალაქის თვით-მმართველობაში. ბ.ბ. ხმოსნებს მოსვენებას არ აძლევს მომავალი საქალაქო არჩევნები, ვაი თუ ჩვენ გამოგვათხოვოს ამ თანამდებობას და სრულიად სხვა ხალხი მოვიდესო. და აი, იმის მეცადინეობაში არიან, ეს რამენაირათ არ მოხდეს და თვით-მმართველობაში ხელ-ახლა გამაგრდენ. ამის აშკარა საბუთია შემდეგი ამბავი. საბჭო, დიდის დავიდარაბის შემდეგ, როგორც იყო, დასთანხმდა ქალაქის სამ-საარჩევნო ნაწილათ გაყოფას და თვითოეულ ნაწილში ხმოსანთა თითო მესამედის არჩევას. ეს გაყოფა ვითომ თფილისის საკეთილ-დღეოდ მოიმოქმედეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ისევ იმათი საკეთილ-დღეოა, ვინც დღეს ბატონობს საბჭოში, და არა სხვების. და მართლაც, გამგეობას ისეთი უბნები შეუკაწიწებია ერთად, რომ უმრავლესობა ისევ სოლოლოაკელთა პარტიას რჩება და, მაშასადამე, ხმოსნებიც მათი კანდიდატები იქნებიან, მაგ., პოლიციის მე-10 განყოფილება შეუერთებია არა მის



გვერდით მდებარე პოლიციის მე-9 განყოფილებასთან, არამედ ვადმოუტანია წყალს გამოღმა და მიუწერია 1, 2 და 3 პოლიციის ნაწილებთან. აგრეთვე ქალაქის განაპირას მდებარე მე-6 და მე-7 ნაწილები ერთად-კი არ შეუერთებიათ, არამედ თვითოეული ამათგანი ცენტრის სხვა-და-სხვა ნაწილებისათვის მიუწერიათ. ასე, რომ ავლაბრელი უთუოთ სოლოლაკში უნდა მოვიდეს კენჭის ჩასაგდებათ და ხმოსანის ამოსარჩევათ და, რადგანაც ეს მას ძალიან გაუჭირდება, ცხადია, ბურთი და მოედანი ისევ სოლოლაკელთ დარჩებათ. ერთი სიტყვით, ამ სა-არაკო დოსტაქრებს ისე დაუჭრიათ თფილისი, რომ სამსავე განყოფილებებში მხოლოდ ერთი გაბატონებული პარტია გაიმარჯვებდა და მომავალ ოთხ წელსაც ქალაქს ხელში ჩაიგდებდა.

* *

ასეთი აშკარა დარღვევა ყოველივე სამართლიანობისა, რასაკვირველია, არ შეიწყნარა საქალაქო საქმეთა გუბერნიის საკრებულომ და 11 და 21 იანვარს 1901 წ. თავისი მსჯავრი დასდო (იხ. Известие Тифл. гор. думы). გუბერნატორს უთქვამს: ხმოსანთა ერთად არჩევანი, როგორც დავინახეთ გასულ არჩევნებზე, იძლევა მხოლოდ ცენტრის წარმომადგენელთ და სრულიად საბჭოს გარეთ რჩება განაპირა უბნები. ამისათვის საბჭოს ყურადღება მოცილებულია ამ მივიწყებულ უბნებისაგან და გარემოცულია მხოლოდ შუაგულით. მართალია, საჭიროა უმაღლესი განათლებით აღჭურვილნი ბევრი გვყავდეს საბჭოში, მაგრამ ამასთანავე მიუცილებელია ვაქართა წარმომადგენელნიც იყვნენ, ვინაიდან ამ წოდებას დიდი გავლენა აქვს ქალაქის განვითარებასა და ცხოვრებაზე. გარდა ამისა, საჭიროა სამ უმთავრეს ეროვნობას—რუსობას, ქართველობას და სომხობას—შესაფერი რიცხვი ხმოსანთა ჰყავდეთ და მით თვით-მმართველობაში სხვა-და-ახვა ინტერესი, შეხედულობა და აზროვნება წარმოდგენილი იქნასო. და რადგანაც ამ პირობებს არ ეთანხმება საბჭოს მიერ ქალაქის განაწილება საარჩევნო რაიონებათ, ამისათვის თვით საკრებულომ გაანაწილა შემდეგ ნაირათ: პირველი საარჩევნო განყოფილება შეიცავს არა 1, 2, 3 და 10 საპოლიციო რაიონს, როგორც ეს საბჭოს ჰქონდა, არამედ 1, 2, 3 და 4 რაიონს; მეორე საარჩევნო განყოფილება—მე-5, 6 და 7 (და არა 4, 3 და 6) რაიონს, ხოლო მესამე განყოფილება მე-8, 9 და მე-10 საპოლიციო რაიონს (და არა მე-7, 8 და 9-ს)—გადაწყვეტილება გამოგზავნა საბჭოს განსახილველათ და ის იყო კიდევაც აირია მონასტერი. ამ ახალმა განაწილებამ ისე დააშინა საბჭო, რომ, დიდი ლაპარაკის შემდეგ, არა თუ ეს განაწილება არ მიიღო, არამედ გააუქმა თავისი წინანდელი განაწილები და ხმის უმეტესობით დაადგინა—არჩევნები ისევ ერთათ, ერთ ადგილას მოხდესო (სხდომა 5 მარტისა). ე. ი., რაკი ჩვენი განაწილება არ მიიღეს, სრულიად აღარ გვინდა განაწილება და ისევ ძველებურათ, ჩვენებურათ ვიპარბამოთო. ნუ თუ აქედან ცხადი არ არის, რომ საბჭოს სახეში ჰქონია არა მთელი ქალაქი, როცა სამათ ჰყოფდა ქალაქს, არამედ მხოლოდ თავისი თავი და თავის ამრჩევლები. ამაზე უფრო ცალ-მხრივი და ეგოისტური მოქმედება რომელიმე საზოგადო დაწესებულებისა ჩვენ მეორეც არ გვინახავს.

* *

როგორც იუწყებიან, პროფ. პეტრიაშვილს უარი განუცხადებია ქუთაისის ქალაქის თავის კანდიდატობაზე, რჩევი მომზადება და ხასიათი ნებას არ მადლევს ეს პასუხის საგები ალაგი დავიჭიროვო“. ეს ასეც იყო მოსალოდნელი; ბ. პეტრიაშვილი შესანიშნავი პროფესორი და მსწავლებელია თავისი საგნისა (ქიმიის), მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ უთუოთ „ყველაფერში“ შესანიშნავი იყოს. ადამიანი უმთავრესად ერთ რომელიმე ნაწილში გამოიჩინოს ნიჭს და ამას რომ იკმარებდეს, მართლაც, გამოსადეგი და სასახელო კაცი იქნება. მაგრამ ჩვენში ამას ყურს არავინ უგდებს და ასე ჰგონიათ, თუ ერთში გვა-რიანი კაცი ხარ, უეჭველათ, მეორე და მესამე სფერაშიაც ასეთი უნდა იყოვო. ამიტომ ერთი და იგივე პირი სრულიად სხვა-და-სხვა ნაირ საქმეს ეჭიდება და, რადგანაც ყველაში ერთნაირ უნარს ვერ იჩენს, მარცხდება. ბ. პეტრიაშვილს ეს კარგათ სცოდნია და სასურველია ამ პატივცემულ პირს სხვა ჩვენი მოღვაწენიც მიჰბაძვდენ და წაღმა-უკულმა ყველაფერში არ ეჩხირებოდენ. ქუთაისის ხმოსნებს, შემდეგ პეტრიაშვილის უარისა, მიუმართავთ ბ. ზღანოვიჩისათვის და ეს დათანხმებულა იმ პირობით, თუ ერთსა და იმავე დროს მარგანეცის მრეწველთა კრების თავმჯდომარედაც იქნება და ქუთაისის თავადაც. სამაგიეროთ თავისი ჯამაგირიდან ას თუმანს დაიკლებს გამგეობის მესამე წევრის მისაწვევათ. ჩვენ ეს განცხადება ძალიან გვაკვირვებს. ნუ თუ ქუთაისის ერთი საკუთარი მეთაური არ ეკადრება? არ ვიცით, რა დააშავა ამ საგუბერნიო ქალაქმა, რომ ის უთუოთ მარგანეცის კუდათ გახდეს? ან და რა ისეთი პატარა საქმეა მარგანეცის მრეწველობა, რომ ერთი მეთაური არ ეჭირვებოდეს? ხმოსნების აზრით, ქუთაისი დიდ გაჭირვებულ მდგომარეობაშია, მას ბევრი მოსაწყობი საქმეები აქვს და აი, ამ დროს მათ ეუბნებიან, ერთი საკუთარი მეთაური არ გინდათ, მე ჩემს საქმესაც ვუწინამძღვრებ და მასთან ქალაქსაცაო, და ამით ხმოსნებიც კმაყოფილნი რჩებიან! სწორედ ახირებული ხალხი ყოფილან ეს ხმოსნები. არა მგონია, მარგანეცის მრეწველებიც ასე კმაყოფილნი დარჩენ... უკიდურეს შემთხვევაში, ორი დიდი საქმის მეთაურობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ამ საქმეებს ერთმანერთთან მჭიდრო კავშირი ექნება. ხოლო მარგანეცის წარმოებას და ქალაქ ქუთაისის მოწყობა-მომართვას შორის-კი ასეთი კავშირი არ არსებობს. ეს მაღანი ქუთაისში არ გაივლის, რომ რაიმე შემოსავალი მისცეს, როგორც ამას ფოთს უშვრება; იქ ფაბრიკები არ არის, რომ მარგანეცი ბლომათ მიიტანონ დასამუშავებლათ და სხ. ერთი სიტყვით, ქიათურასა და ქუთაისს შორის არავითარი ისეთი კავშირი არ არსებობს, რომ ერთის წარმატებამ თან გაიყოლიოს მეორის წარმატება. სულ სხვაა მაგ., ფოთი. ეს ქალაქი პირდაპირ დაინტერესებულია შავი ქვის მრეწველობის გაზრდაში და უცხოეთის ბაზრებზე მის გაბატონებაში... არა, ქუთაისის ეჭირვება საკუთარი ხელმძღვანელი და ასეთი პირის მონახვა წმინდა მოვალეობაა საბჭოსი.

* *

ბათუმიდან გვატყობინებენ, რომ იქაურ ქართულ სკოლაში ამ ჟამათ ორასზე მეტი შეგირდია, ხოლო მსწავლებელი-კი ისევ ორიოა. მეტათ სასიხარულო და თან საყურადღებოც არის ამ სკოლის ასეთი გაზრდა და

ბათუმელთა შორის საპატრიარქოს დაქვერ. უეჭველია, იქაური ქართველობა დიდთ საჭიროებს ამ სკოლას და, დაინტერესებულიც არის მის რიგთან მოწყობაში. მაგრამ, მეორე მხრით, საჭიროა სკოლის მეთაურებმა და პატრონებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და ხალხის მოთხოვნილება დააკმაყოფილონ. ორას შეგირდს რომ ორი კაცი რიგთან ვერ მოუვლის—ამას, მგონი, დიდი მტკიცება არ უნდა. ამოდენა ხალხს, ოთხი თუ არა, სამი მუდმივი მასწავლებელი მაინც ეჭირება და თუ „წ. კ. გამ. საზოგადოება“ ახლავს არ იზრუნა ამ საქმისათვის, შეიძლება მერე გვიანაც იყოს. ორი კაცი, რაც უნდა დაუღალავი მუშაკი იყოს, ვერ გასწვდება ასეთ სკოლას, შეგირდების სწავლება ძალა-უნებურათ ჩამოქვეითდება და მშობლებიც ზურგს შეაქცევენ სკოლას. და რომ ეს ასე არ მოხდეს, საჭიროა ბათუმის სკოლას მესამე მასწავლებელიც მიემატოს და მით სწავლების საქმე მკვიდრ ნიადაგზე დამყარდეს. ჩვენ მაინც გვაკვირვებს, რატომ თვით მასწავლებელი არ აღძვრენ ამ კითხვას და არ მიაქცევენ ყურადღებას, ვისიც ჯერ არს. ან შეიძლება კიდევაც აღძვრეს და ყურადღებას არავინ აქცევს.

* * *

ჩვენში ერთობ ბევრს ლაპარაკობენ მოსწავლე ახალგაზრდობის ნივთიერათ დახმარების შესახებ, მაგრამ ყოველთვის მხოლოდ მაღალი სასწავლებლები აქვთ სახეში; ხოლო ამას გარდა არის კიდევ დაბალი სასწავლებლებიც, სადაც იზრდება ჩვენი ხალხის შვილები და რომელნიც ხშირათ უკიდურეს მდგომარეობაში არიან. აი მაგ., თფილისის ერთ სამოქალაქო სასწავლებლიდან ასე შეგირდი დაუთხოვიათ სწავლის ფულის შეუტანლობის გამო. ცხადია, ამათი მშობლები ისე ღარიბები ყოფილან, რომ რაღაც 10—15 მანეთიც ვერ მოუხერხებიათ და ამ მცირე მიზეზით სრულიად უვიცად უნდა დარჩეს მომავალი მოქალაქე. საშუალო და მაღალ სასწავლებელს მხოლოდ ბედნიერები აღწევენ, დანარჩენნი, ეს ბურჯნი ჩვენის ერისა, დაბალ სასწავლებლების ამარად არიან და ვისაც ჩვენი ერის სვე-ბედი აინტერესებს, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ ჩვენს დედა-ბოძს უნდა აქცევდეს ყურადღებას და მის გამაგრებას მეცადინეობდეს. ხუთასიოდე მანეთით წელიწადში 40—70 ბავშვს დაიხსნი დაღუპვისაგან, ეს განა პატარა საქმეა? დრო არის ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს და რაიმე ზომა იქმნეს მიღებული.

სხვა-და-სხვა ამბები.

თფილისის გაზეთებს წარსულ კვირას კიდევ მოუვიდათ აუარებელი სამძიმრის დეპეშები თ. რაფიელ ერისთავის გარდაცვალების შესახებ.

ხვალ, 12 ამ თვეს, დანიშნულია სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს სახალხო სახლის აშენება თფილისში.

სახალხო განათლებისათვის თფილისის ქალაქის თვითმმართველობის ხარჯთ-აღრიცხვიდანა სჩანს, რომ ქალაქს წელს ზემოხსენებული საქმისთვის გადაუდგია 135,990 მან., ე. ი. 4,921 მან. მეტი, ვიდრე წარსულ წელს.

კვირას, 18 მარტს, ჩვენი ცნობილი მომღერალი ქორიძე გამართავს კონცერტს საერო სიმღერებისას. ბ-ნ ქორიძეს შეუდგენია ხორო და ახალი სიმღერები უსწავლებია. აღებული ფულით ფიქრობს მოვლოს პროვინცია და შექვიბოს სახალხო სიმღერები.

გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომლითაც 1901—1903 წლებისათვის დაინიშნა ადგილები, რომლებზედაც უნდა იქმნან საცხოვრებლად გაგზავნილი ის პირნი, რომელთაც სოფლის საზოგადოება მიუსაჯავს გადასახლებას.

პარიჟიდან ჩამოვიდა ახალგაზდა სკულპტორი იაკობ ივანეს ძე ნიკოლაძე, რომელსაც გაუთავებია პარიჟის ცნობილი სასწავლებელი „L'ecole de beaux arts“. ბ. ნიკოლაძე თფილისში აარსებს ქანდაკების სახელოსნოს.

თფილისის ვაჭრობა-მრეწველობის კომიტეტს გადაუწყვეტია შეადგინოს სრული სია თფილისის ყველა ვაჭრებისა და მრეწველებისა, რისთვისაც უკვე შესდგომია ცნობების შეკრებას. ვაჭრებმა და მრეწველებმა უნდა წარუდგინონ კომიტეტს შემდეგი ცნობები: სახელი და გვარი ვაჭრისა ან მრეწველისა, მრეწველობის დარგი, ქარხნის ან ფაბრიკის აღწერა, წარმოების რაოდენობა, საქონლის წლიური ვაჭრობა, მუშებისა და მსახურების რიცხვი, მაშინების აღწერა და სხვა ამგვარები.

წარსულ ოთხშაბათს თფილისის ქალაქის თავმა წარუდგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად საბჭოს დადგენილება, რომლითაც ქალაქის მიერ გადადებულია 2,000 მანეთი საშუალო სამხატვრო სასწავლებლის გახსნისათვის თფილისში.

კავკასიის სამოსწავლო ოლქისათვის მიუმართავს საერო განათლების სამინისტროს ცირკულიარით და კვლავ გაუხსენებია თავისი განკარგულება, რომ წლის განმავლობაში არ გადაიყვანონ მასწავლებლები ერთი სასწავლებლიდან მეორეში.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ანგარიშიდანა სჩანს, რომ 1900 წლის მოსავალი თფილისის გუბერნიაში საშუალოზე უფრო ნაკლები ყოფილა. ყველაზე მეტად დაზარალებულა ვენახები, თამბაქოს მოსავალი-კი საერთოდ კარგი ყოფილა, განსაკუთრებით ბევრი და კაი თვისების თამბაქო მოსულა სიღნაღის მაზრაში.

ოქროყანის მცხოვრებთ თფილისის საგუბერნიო მთავრობისათვის მიუერთმევიათ თხოვნა, რათა შემცირებულ იქმნას მათზე შეწერილი საადგილ-მამულო და საბევრო გარდასახადი.

ქალაქის ნიკოლოზის სასწავლებლიდან სწავლის ფულის შეუტანლობის გამო (16 მ. წელიწადში) გამოურიცხავთ 100 მოსწავლე. ამიტომ 36 მშობელმა ქალაქის თავს მიართვა თხოვნა, რომ ეპატიოთ მათ სწავლის ფული შეუძლებლობისა გამო და მოწაფენი კვლავ მიიღონ სასწავლებელში.

მომავალ სამეურნეო სამრეწველო გამოფენის სხვა-და-სხვა სადგომების და შენობების აგება უკისრია ხუ-



რომ მოძღვარს ბ. შიმკევიჩს, რომელსაც უკვე შეუდგენია უმთავრესი შენობების გეგმა. ამ შენობების აგება დაჯდება 70,000 მანეთი.

წარსულ სამშაბათს, ექვს მარტს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაასრულა ამ საზოგადოების ხარჯთ-ალრიცხვა მიმდინარე წელში. ამ ხარჯთ-ალრიცხვიდან სჩანს, რომ საზოგადოებას შემოსავალი ექმნება 14,000 მანეთზე მეტი, ხოლო გასავალი—14,000 მანეთი.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ რამდენსამე ახალ-გაზრდას განუზრახავს უფროსად „ნაუნაოე ოზობრენიეში“ დასტამბული ბიტნერის „სახალხო უნივერსიტეტის“ ლექციების თარგმნვა და პატარ-პატარა წიგნაკებათ გამოცემა.

თავ. რაფიელ ერისთავის დაკრძალვა.
(წერალი თეფავიდან)

მარწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იმოდენა ხალხის შეკრებილება, რომელიც თ. რ. ერისთავის დაკრძალვამ გამოიწვია, არა თუ თელავს, ბევრს სხვა ქალაქსაც არ უნახავს.

ცხედარი გამოასვენეს ბ. კახიძის სახლიდან 25 თებერვალს, დილით და ვალოზითა და მუსიკით მისვენეს ტაძარში. წინ მიუძღოდა 22 სხვა-და-სხვა დებუტაცია გვირგვინებითა და, რომ თფილისში არ გადაეწყვიტათ გვირგვინების მაგიერ ფონდის დაარსება, უეჭველია, აუარებელი გვირგვინები იქნებოდა გამოგზავნილი.

წეს-რიგის დამცველად და თადარიგის მიმცემლად ამორჩეულ კომიტეტის წევრები ენერგიულად ასრულებდნ თავიანთ მოვალეობას. თითოეული მათგანი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ პროცესიის მსვლელობა და წესი არსად არ დარღვეულიყო. ამათი მოხერხებული ცდა მით უფრო საჭირო იყო, რომ თელავის, როგორც სამაზრო ქალაქის, პოლიციის მოხელეთა რიცხვი ცოტაა, და ამასთანავე თელავის ქუჩები მეტად ვიწროა და დახლოებულია, ამიტომ საჭირო იყო მეცადინეობა, რომ რომელიმე ვიწრო ქუჩიდან, ან შესახვევიდან ხალხის ბრბო არ შემოსულიყო და პროცესია არ დაეშალა.

წირვის შემდეგ ეკლესიაში სიტყვა წარმოსთქვა მასწავლებელმა ბარნოვმა. შემდეგ ცხედარი გამოასვენეს ეზოში და აქ წაიკითხეს სიტყვა მღვდლებმა მ. შიუკაშვილმა, მ. დეკანოზიშვილმა და მ. ხატიაშვილმა. ლექსები წაიკითხეს: ფშავლიშვილმა, მეწვრილმანე თუმანიშვილმა, მ. აჯიმაშვილმა; სიტყვა წარმოსთქვეს: მასწ. ნ. მამინაიშვილმა, ქ. ქეთევან ზარაფიშვილმა და წაიკითხა წინანდლის გლეხმა სიმონ ქიორელმა.

მამა დეკანოზიშვილმა დაასურათა რაფიელის მწერლობა მისივე ლექსებით, რომელიც შეწყობილათ ჰქონდა და მოყვანილი. დანახვა საზოგადოებას, თუ რა იდევით იყო გამსკვალული რაფიელის პოეზია. ბ. მამინაიშვილმა, „წ.-კ. საზ.“ წარმომადგენელმა, უმთავრესად აღნიშნა პოეტის რაფიელის მნიშვნელობა ქართველთა სწავლა-აღზრდის საქმეში. ქეთ. ზარაფიშვილისა თავის სიტყვაში უმთავრესად შეეხო ქართველ ქალების მოვალეობას. ამ პატიოსანმა მანდილოსანმა მეტად საამო შთაბეჭდილება მოახდინა თავის აზროვანი სიტყვით მთელ საზოგადოებაზე.

2 საათზე პროცესია იმავე რიგით გაუდგა ს. ვარდისუბნისკენ და ცხედარი მისვენეს იქაურ ეკლესიაში. მეხუთე საათი იქნებოდა, როდესაც საზოგადოება დაიშალა და თელავისკენ გასწია.

მეორე დღეს, 26 თებერვალს, დილის 10 საათზე, ვარდისუბნის ეკლესიასთან მოგროვდნ ინტელიგენტები და აუარებელი ხალხი. პირველი დღე უფრო კახეთის ინტელიგენტის, მოხელეების და მოსწავლეების დღე იყო, ხოლო მეორე დღე-კი ნამდვილი კახელი გლეხაკობის დღეთ გადაიქცა, თუმცა მასთან ერთად ინტელიგენტაც ბლომად იყო. ვარდისუბნის ეკლესიიდან დაწყებული ს. ქისტაურამდის, „სადაც რაფიელ შობილა და გაზდილა“, მხარით წაასვენეს ცხედარი. საუცხოვო სანახავი იყო ეს პროცესია. დამარხვის ორივე დღეს მშვენიერი დარი იდგა, თითქმის ცხელოდა, მაგრამ ჩრდილოეთის საამო ნიავი აგრილებდა ქუდ-მოხდილთა მზისაგან გახურებულ თავსა და შუბლს. გზაზე პანაშვიდი იქმნა გარდახდილი: რუისპირში, იყალთოში, აწყურში, ახშანში და ქისტაურში. ყველგან ადგილობრივი სამღვდლოება უხვდებოდა პროცესიას და ამობდნ სიტყვას. ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებლები სოფლიდან სოფლამდე აცილებდნ პროცესიას. ს. აწყურში სიტყვა წარმოსთქვა ჩვენმა მსახიობმა ვ. გამყრელიძემ, როგორც ს. აწყურისა და ზემოხობდაშენის წარმომადგენელმა. ს. არხშანში ბ. დათა ერისთავმა წაიკითხა ლექსი. მეოთხე საათზე ცხედარი მისვენეს საკუთარ სახლში. აქ გადინადეს პანაშვიდი. შემდეგ ასვენეს მთაზე, სადაც რაფიელის „მამა-პაპის კუბოს ფიცარი“ მოიპოვება. ის ადგილი, სადაც რაფიელი დაასაფლავეს, მდებარეობს ცივი გომბორის ერთ საშუალო მთის ფერდზე. ამ ადგილს არის წიფლის, მუხის და კაკლის ხეები. ტყეში აყვავებულა ია და სხვა მრავალი ფეროვანი ყვავილები. ტყით შემოსილ მთის წვეროზე მოსჩანს ძველი ნანგრევები (მგონი, კოშკი უნდა იყოს). სამწუხაროთ, ჩვენ დრო არ გვქონდა, რომ ეს ადგილები დაგვეთვალიერებინა. (ჭუჭილი ზეისთყო რეიონით).

საფლავზე ლექსები წაიკითხეს: სამოქალაქო სკოლის მოწაფემ სიდომონიძემ და მასწავლებელმა მიქელაძემ.

ბოლოს, უკანასკნელ გამომშვიდობების და საფლავში ჩასვენების წინად, რ. ერისთავის ერთმა უახლოვეს ნათესავთაგანმა ბ. ვ. კახიძემ წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა და ბევრი დამსწრეთაგანი აატირა.

ხუთ საათზე დასრულდა პროცესია და ხალხიც დაბრუნდა თავ. ერისთავის სახლში, სადაც ჭირისუფალნი დაუხვდნ ძველებურად - ქართველურად.

აქვე მოგვყავს წინანდლის გლეხის სიმონ ქიორელის სიტყვა:

„ხალხის მკაცრად დაუვიწყარო რაფიელ! ამ ხუთმეტო წლის წინად ჩვენ წავიკითხეთ შენი სუტხეო ლექსი, რომელშიაც დაგვისურათუ თუ საითკენ უნდა მისწრაფოდეს ნამდვილი ადამიანის გული და სული.

„გაფი ის არის, ვინც მისდევს დიდის მოძღვრის მცნებას, ვინც მოძმეს გულის დაუხსნის თავს აუცილებს ვნებას, ქვრივობებს ცრემლებს მოწმენდავს, მოუსძობს გაჭირვებას, იბრძვის და იბრძვის ერისთვის,



ქვეყნის მისცემს შვიკს!

კაცი ის არის, ვინც მამულს გამადაგებს შვილად“ და სს.

დაის, კაცი იყოვი ძვირფასი რაფიელ და გამადაგები მამულს შვილად. შენი სამშობლო ქვეყანა არ დაგიფიქრებს, სანამ ქართული ენა ცრცხლი აქნება.

დიდი და ქებულია შენი ღვთაური ნიჭი, განთქმულია შენი სახელი ჩვენს სამშობლოში, მაგრამ თუ ჩვენ ვაფასებთ და ზატვის გცემთ, უფრო მეტად, ბევრად უფრო მეტად ძვირფასი ხარ ჩვენთვის, ვლენკაცისთვის, როგორც მუშაკი და მებრძოლი, რომელმაც შეიკნო ადამიანის მფაჯეობა და არ შეუძინა იმით, ვისთანაც შესისხლებული იყავი.

შენი ზნევი ამდერე ჩვენთვის და ცოცხლად დაგვიხატე „სესიას ფიქრები“, „თანდილას დარდი“, „დედაბრის მოთქმა“, „ბერუას ჩაფიქრება“, „ჯაფის გან მოქსნული თედეს დღითადლე შავ მიწისთან ბრძოლა“. შენ უხვევე ქვეყნის, თუ რა დარდი ჩავარდნია გულში და რისთვის სტირის ტიტია? რას უჩივის საბრუას სახლვარობა? რისთვის მაგრობს და ფხიზლობს დამის მერე? თუ რა ატრიალებს ციბრეტოვით სწავლობელ თინას? რატომ კვების ბეზვი ნინუა, რამ მოუვლინა შიშილი, რამ შეუტრა კრიკა და გამოუღია სისხლი გამწარებულ გლეხკაცს?

შენი მშენიერი, დრმა აზრფანი ლექსები სავსეა გაცმოყვარებით და წრთული გრძნობებით. შენ გამხველ სამწერლო ასწარუხე, რათა იბრძოლო და იმუშავო ჩვენთვის, და შენ ყოველთვის დალადობდი, რომ „მცირეოდენი ამა ქვეყნის“ არას ჩვენი მოძქენი, რომ მათი ბედის გაუმჯობესება იქმნება საერთო მთელი სამშობლო ქვეყნის წინმსულელობა; და ეს წინა მოაზრება აძლევდა შენს ლექსებს იმ დიდ მშენიერებას, რომლითაც ვტკებოთ დღეს ჩვენ. შენ მიუხვდი თანამედროვე საზოგადოების მაჯის ცემას და ჩვენი ცხოვრების ბრძოლის ტრიალში შენ იყავი ნიჭიერი, გულ-წრთული, ზატოსნებით აღსავსე მეთაური და მუშაკი.

ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ, დღეს ჩვენში გლეხკაცთა შორის მცირეა ის დასი, რომელსაც შეგნებული აქვს, თუ რა იყავი ჩვენთვის და რა სარგებლობა მოგვიტანე ჩვენ.

მაგრამ ჩვენი ჩამომავლობა, ცხადია, უფრო სავსებით დაგაფასებთ და მოვა დრო, ის დრო, როდესაც სიტყვა „გლეხკაცობა“ და „წოდებრავი განსხვავება“ შეიქნება ძველი გუთუნალება და მაშინ არა მარტო ისინი, ვინც დღეს თავის თავს აღიარებს „ქვეყნის მარლად“, არამედ თვითული ქართველი იტყვის: „რაფიელ ერისთავი გამადაგა ნამდვილ შვილად სამშობლო ქვეყნისა“.

მცირე შენიშვნა.

ზასუთ „ივერიის“ ამ წლის 42 №-ში დასტამულია შემდეგი შენიშვნა: „ტფილისის გუბერნიის თავდაზნაურობის წინამძღოლმა, მისის უმადლესობის კარის ეკრემესიტრმა თავ. დ. ზ. მელიქიშვილმა, თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ, ვითარცა თავმჯდომარემ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ტფილისის სათავადაზნაურო სადაგლე-მამულთ ბანკისამ, სამეურნეო ბანკის დირექტორმა თავ. ვ. ს. მიქელაძემ, ქართულ დრმატიულ საზოგადოების თავმჯდომარემ ვ. ა. სულხანიშვილმა, „ივერიის“, „მამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციების წარმომადგენელთა და სხვათა გუშინ, ხუთშაბათს, 22 თებერვალს მოილანარაკეს იმის თაბასე, თუ რა გვარად

ზატავი სტენ განსვენებულის ზეთის თავ. რაფიელ დაგვიანდის ერისთავის სახელს და სხვათა შორის დაადგინეს: სთხოვონ განსვენებულის ზატვის-მცემელთ, რომ მიცვალებულის შკოსნის კუბოს შესამკობ გვირგვინების ნაცვლად, ამა გვირგვინების საფასური მოჭმარდეს რომელსამე სამადლო საქმეს განსვენებულის სახელის საუკუნოდ სახსენებლად. ამასთანავე ზემოხსენებულნი სთხოვენ, ვისაც ზურს ამგვარად ზატავი სტენ მიცვალებულს, გვირგვინისთვის გადაღებული ფული წარუდგინონ „ივერიის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციებს“—ა და სხვანი.

ამ დაის გონივრულ განხილვას დაერთო „ივერიის“ საკუთარი აზრი! აი რას ამბობს „ნიროს“ : „სიამფსებით ამოვიკითხე ის დადგენილება, რომ განსვენებულის შკოსნის სახელის სასწრაფო-საყოფილად, გამოუსადეკარ და ფულ გვირგვინების შესამკობის ნაცვლად, ფული შეიკრიბოს და სამადლო რამ საქმეს მოხმარდეს. ეს დირს-აღსანიშნავი მაკალითა, იმედია, სყოველთაოდ დაჩნება და ბოლოს მოუღებს უქმად ფულის ფლანგვის წესს და ჩვეულებას“—ა. როგორც თვით ეს დადგენილება, ისე მის გამო ნათქვამიც დიდად საკულისნია: დიდი ხნია ჩვენ ვუღარა ვხედავთ, რომ თავდაზნაურობა ძველებურადვე, ჩვეულებრივად საერო, საქვეყნო საქმეს, გაურჩევლად წოდებისა, სათავგუძო უდგეს. ამ საუკუნის განმავლობაში ჩვენი თავდაზნაურობას წარმომადგენელი და წინამძღოლი საზოგადოდ, გარდა ერთა-ორისა, უფრო განსვენებულ საქმეებს ეტანებოდენ, ვიდრე წერილმან საქვეყნო და საერო რამეებს... ვის არ გაუგონია არა ჩვენსების დროს ამა თუ იმ რომელიმე წინამძღოლის სიტყვა: „ზატებო! დმერთმა ხომ იცის, მე თქვენთვის არაფერი დამუშავებთ და არა წამხედინოს-რა. და თუ ამ შესამყაც ამირჩევთ და არ დამიკარგავთ ორი ჯერის ნამსხურს, თქვენ იცით და თქვენმა ზატოსნებამ. მე ჯილდოს მივიღებ და თქვენ არა დაგვადლებთ-რა“ და სხვ... ამის მომსმენი კვჭოსნებიც მიავერიტებდენ სოლმე: მართლდა, რას გერჩით, ბრძანდებოდეთ და სხვანი. მარტო ამითი თავდებოდა მათი მოღვაწეობა. დღეს, როგორც ამ ზემო მოყვანილ წერილიდან სჩანს, დღევანდელი თავდაზნაურობის წინამძღოლი მისის უმადლესობის კარის ეკრემესიტერი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი გადადგომია ამ ძველ ზრტგრამას და არა თუ თვითონ ზეთიერობს საზოგადო საქმეებზე, სხვებსაც იწვევს და ხელს აწერიებს. ეს სწორეთ სასურველი მოვლენა ჩვენს მწირ-ცხოვრებაში და სისრულითაც მივეგებებით! საზოგადოდ, რომ ამგვარი სურვილები ევლასავან მისაწინა და კიდევ მოუწინებიათ, ამის ერთი მაკალითა წინ მიძევს: წერილი მომავიდა ერთის ჩემი ნცნობისკახ, რომელიც აღტაცებაში მოსულა და მე შეკითხება—თუ თუ შენ არ თანაურტობ ამ გონივრულ დადგენილებას და, თუ უგრძობ, რატომ ხელი არ მოგიწერია? მეც, რასაკვირველია, უზსურხოდ ვურ დავადგებ და აი რას მოვასხენებ იმ ჩემ კორესპონდენტს: ხელი არ მიწერია მიტომ, რომ მე არასოდეს არ ვყოფილვარ და არც ვარ იმ მალა საფეხურზე საზოგადო მოღვაწეობისა, რომ უფლებს მქონდეს რამე დავადგინო და დავამწიშო. შემიძლია მხოლოდ სიტყვით და კალმით ჩემი სურვილის გამოთქმა და რჩევა სხვა-და-სხვა საქმეების შესახებ და ამ მხრით მე არ შემიქმნება გულ-გრილობა და უთანაკრძნობობა. ჩემი ნაწერები რომ გადაკითხული ჰქონდეს ხსენებულ კორესპონდენტს, ეცოდინებოდა ჩემი აზრი ამ სასარგებლო საქმეების შესახებ! მე ყოველთვის იმას ვჩიოდი, რომ საზოგადო საქმეში ჩვენ, ქართველები, ძალიან სუსტი მოღვაწეობა ვართ და უფრო ვჩიორკვედულაობთ, ვიდრე საქმეს ვაკეთებთ-მეთქი.—სანიშნოდ კვახსენებ ერთ შემთხვევას.



ღირსი მონღოებს ჩვენში მისთვის ვინმე... რომ ალექსანდრე უსიბუგის სხელი არ გაუგონოს! დღეს ის საქვეყნოდ ერთი სახელ-განთქმულთაგანია. სინცხლემი-ვი ბუგრი არავინ აქტუვად ურადლებს და ვინც აქტუვად, ისიც უფრო ავადობთა და ცხლებად. ამის მიზეზი თვით სანდროს ხირობულობა იყო. მართლაც რომ სხელი სანახავის სხვა ვინმე ცხოვრებაში ისე დაუდევარი და ახირობი, როგორც ის იყო. უფროდ თვის კვირვებობა გულ-შემატკივარი ჭირისუფალი და თავაღუურის მკვებელი. ამგვარ მატრახად თავდაწირულად „დროების“ რედაქცია გამოუჩნდა, მერე ცრტა სნობით ივ. მახიბელი და შუმდევ-ვი აღარავინ გამოსჩენია. დასტოვდნა ხან იმერეთში, ხან კასეთში, ხან აქ, ხან იქ, როგორც თავის უნებური და უდევარი კბრი. გულ-შემატკივარი, თანამგრძობი და უფროს-მკვებელი აღარავინ გამოსჩენია და უფრო, უფროდ მართა ცხოვრებაში იმდენად გაუფაყა გრძობა-გონება; რომ დასარეთში ამტყუთ თავი, როგორც სუფით ავადმყოფმა. სიკვდილამდე იქ გაატარა დრო ტანჯვითა და ვაი-ვაკლახით. ამ დროს მისი ხსენებები ძალიან იყოდობდა, მაგრამ ის-ვი მანც უნებურად იყო სდდათების ამრად. ერთხელ ვიდაც ქართული იერშლის წერილი მთვიან უსიბუგის შესახებ... იწერებდა: დიდ გაჭირვებაშია, თუთუნი ენატრება და წაწილსიც არა აქვს. მე სმუფლებს არა მქონდა, რომ როგორმე ხელი გამეშართა და მიმეწვინა რამ და რამდენიმე ხნის შემდეგ განსვენებულ ვ. ქ. მამაცაშვილთან წავიქედი, რომ შემეტყობინებინა სანდროს გასწირობი. გზაში ზ. ჭიჭინაძე შემხვდა და მითხრა: ეს-ეს არის ახლა გადაიცვალა სწავლი უსიბუგო. იმ დროს მინაწილავის ქუჩა ხალხით გატენილი იყო, ეკიპაჟი ეკიპაჟს მისდევდა, ზოგი ქვეითად და ზოგი ფაიტონით მუშტადისაკენ მიემარებოდა, სდაც ჭიჭინაძე უნდა აფორინათ და თან ვირი აქვანათ. „აი, რას თანაურდობს ჩვენი ხალხი და რაში ფენტავს ფულებს და კარგი საქმისათვის გრძობის გამტკობაც-ვი ეზარება,—წამოამხსა ზაქარიამ და ჩვეულებრივად ერთი კიდეც შეუფერხდა,—იქ სანდროს წაწილსი ენატრებდა და აქ-ვი ფაიტონებზე, ვინ იცის; რამდენი იხარავება“.

მართლაც, ბუგრმა გაიგო მამიბე უსიბუგის სიკვდილი, მაგრამ არავინ მათგანს არად შეუმჩნევია და ვირისათვისაც თავი არ დაუხებია. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა განსვენებულის დასაფლავებაზე მეწარდა საქმე, მამინ-ვი, მთავრათ დგომის წყალობა, ჩვეულებისამებრ ჩვენებს თავი გამოაჭიკტეს და მთიურეს თავი მისი კუთხს წინ! ჭია დებუტაციას! ჭია სიტყვები და მკვერმეტყველებს და სხვანა და სხვანა. ზოგიერთებმა მოთქმით ტირილიც-ვი დაიწყეს,—ერთი სიტყვით, მტერს თავი მოფთხრეთ, რადა!! ამ ფარისევლობამ ძალიან გამბარაზა და მეც რამდენიმე სიტყვა წარმავსთქვი, რომელიც ჩვენი ინტელიგენცია ძალიან გაბარაზა. ეს სიტყვა უფრად „მამის“ 1894 წლის 1-დ ნომერში იყო დაბეჭდილი. სხვათა შორის, აი რა იყო ნათქვამი:

„რასაც დღეს ამას თანაგრძობას ვუცხადებთ, მისი მკასედი, შეათსედიც რომ სინცხლემივე გამოვეცხადებთ მისთვის და მეტი ჭირისუფლობა გაგვიწია, კვებ დღეს ეს ისევ ჩვენში უფოლიყო, ჩვენის ქვეყნის სასარგებლო მუშავად. მე აქ მართლქნებრივ შეძლებასზე და ზურსე-ვი არ ვადაზარავებ: „არა მართლ ზურითა ცოცხლად არს კაცია“. მე ვამბობ სულიერ საზრდაზედაც, იმ თანაგრძობასზე, რომელიც ზურსე უფრო მაღლა დგას და უფრო სანატრელია კაცისათვის. ვინც უფრო ძაღუმიად მუშაობს, ის უფრო ძლიერად იდღებს! ვინც მეტსა ჭეგრძობს, იმას უფრო სმირად უტვებდა გული, მაგრამ საკვირ-

ველია ადამიანის ბუნება: ათასგვარ უცხურებისა-ცან გატენილი გულს ერთი გზიფრული თანაგრძობა ამრთვლებს და ამხნევეტქვეყნის მუშავად. მათთვის თანაგრძობა იგივეა, რაც მცხანრისათვის მზის სხივები და ყვავილებისათვის დილის ნამი. განსაჭირა არ არის მათი თანაგრძობა და ფესზე დაქენება?

რასაკვირველია! მაგრამ ჩვენ მათ დღეს ვერც-ვი ვიცნობთ*), ურადლებასაც არ ვაქტუვთ და როდესაც მოკვდებიან, მამინ-ვი, დღევანდლისა არ იყოს, უფრად დავიძახებთ: „ჩვენსგანა მზე, დასხლდა მთვარე, მოსწვდა ვანსკვლაფიო და სხვანი!.. ეს, თითქმის, ფარისევლობასა ჭეგავს და ვისი ბრადია? არა ხალხის!.. არა, მსოფლი იმითა, ვისაც ქვეყანამ თავი ვადათში ჩაუდვა და სთხვავს: შენ მიმითივე ავსებდაც და კარგუდაც, ე. ი. ინტელიგენციისა და მათი შეთაურებისა, რომელთაც ადრე სცხლიათ და მატობას უნდებიან... დას, ნუ დავაჯვებთ მიცვალებულებს შესთვრ მატობის-ცემას, მაგრამ ვგანსოვდეს-ვი ცოცხლებიც“.

ამ სიტყვებმა დიდი უსიამოვნება გამოიწვიეს, მამინდელი ინტელიგენცია ვაფეზე შესდგა და დამცეს კიყინა: აკავიმ დიდი სისულელე და ურიგობა ჩიდაინა, როგორ თუ გვიწუნებს საქციელსა და სხვანი... სიტყვით ხომ ქვეყანა ვაჯვრეს, „მამამბის“ მეშვიდე ნომერში სტატიაც დასწერეს, სდაც მიკვირებენ და ილანდებიან. „ივერამ“ სასაცილოდ ავდებაც და ლანდვაც რომ ადარ მაკარა, აი ზედ რა სიტყვები დართო: „აკავიმ კუბოს წინ მოწვადებს ითხავა!.. ასე თქვა, ხალხი და ვამათო, ჩემთვის ხარჯს ხურას გასწევთ ჩემს სიკვდილს შემდეგ!.. რაც მეტკობდეს, ამ თავითვე დასხურდავით და სინცხლემივე მიწვალბეთა“ და სხვ... ამ მატობისურმა და ჩვენებურად ინტელიგენტებმა სტატიაებმა დიდი თანაგრძობა და სიხარული გამოიწვიეს ჩვენს მამინდელ შეთაურებაში, მაგრამ ჩემი შეხედულებ-ვი მანც ვერ შესცვადეს და მეც მათთვის მასხუნი არ გაბიცია. დღეს დიდი მოხარული ვარ, რომ იმ მამინდელ ჩემ აზრს არა თუ სწუნობენ, განხიზებასაც ადგენენ და ხელიც უწვრათ ზოგიერთ მამინდელ მოწინააღმდეგეთაგანს. და რაც შეეხება ჩვენს კარგხმანდებს, აი ჩვენი მასხუნი:


ვისაც მართლაც გული შესტკივს ჩვენს ავკარგანობასზე და თავაღუურის დევნება უნდა საზოგადო საქმეებისა, ძალიან კარგს იხებებს, რომ დღევანდელ უსაფუძვლო მოთქმა-მოთქმას უფრი არ უგდოს, არ დასჯერდეს და მუშტრის თვალთ გადაიკითხოს ზოლმე ძველი უფრად-გაზეთები, სდაც ამ თრმცდათი წლის განმავლობაში ბუგრი რამ თქმულა და გაკეთებულა... შეუდაროს მამინდელი ახლანდელს და მამინ დაინახავს ჭეშმარიტებას...

მთავრობის გამოცხადება.

„**ზ**რავიტელ. ვესტნიკ“-ში გამოცხადებულია: რადგანაც ამ ბოლო დროს მომხდარ უწესოების შესახებ ტყუილი ხმები გაავრცელეს, ამიტომ ვაცხადებთ შემდეგს:

პეტერბურგში 19 თებერვალს, წირვის შემდეგ სტუდენტობა და გარეშე ხალხი შეიკრიბა ყახანის მოედანზე, სადაც ზოგიერთი ცდილობდა სიტყვის წარმოთქმას, მაგრამ პოლიციამ დაუშალა. შემდეგ ხალხი სიმღერით გაემართა ნევსკის პროსპექტისაკენ და დაიჭირა ამ ქუჩის ნაწილი და ტროტუარი. მოწვეულმა პოლიციის რაზმებმა მანიფესტანტები შეყარა ერთ ეზოში და იქ ასწერა. აწრილ იქმნა სულ 244 კაცი, ამათში 71 სტუდენტი კა

*) აქ ნინოშვილზე იყო ლაპარაკი.



128 სტუდენტი ქალი და 25 გარეშე პირი. ამავე დღეს ქ. ხარკოვში წირვის გათავების შემდეგ 100 სტუდენტი სხვა-და-სხვა სასწავლებლისა გაემართა სიმღერით უნივერსიტეტისაკენ. ესენი პოლიციამ დაატყვევა პოლიციაში, სადაც ჩქარა მოგროვდა დიდძალი ახალგაზდობა და თხოულობდა დატყვევებულთა გამოშვებას. ახალგაზდობას მიემხრო გარეშე ხალხიც, რის გამო პოლიციამ წამქეხებლები დაატუსაღა. საღამოს ხალხი და მოსწავლენი ცდილობდნენ მოეხდინათ დემონსტრაცია გაზ. „იუენი კრანს“ რედაქციის სადგომის წინ, მაგრამ ჯარმა შეიპყრო იგინი და დაამწყვდია პოლიციებისტრის სამმართველოში. როცა ეს უკანასკნელი ჯგუფი განდევნეს, ქუჩაში დარჩენილ ხალხს მიემატა სხვა-და-სხვა წოდების ხალხი და დრამატიულ თეატრთან ასტეხეს ყვირილი და ხმაურობა. ჯარმა ეს მანიფესტანტებიც გაჰფანტა. დაშავებული აღმოჩნდა ერთი კაცი. 136 დაჭერილთაგან 24 კაცი ისევ დაჭერილია, სხვები გაათასავისუფლეს.—**მოსკოვში** 23 თებერვალს, შუადღისას, ჯერ უნივერსიტეტის სტუდენტები შეგროვდნენ უნივერსიტეტის შენობასთან, შემდეგ მივიდნენ სხვა მაღალი სასწავლებლის სტუდენტები, კაცები და ქალები. პოლიცია ითხოვდა მათ დაშლას, მაგრამ ხალხი უფრო მეტი გროვდებოდა. პირველ საათზე შეამტკრიეს უნივერსიტეტის კარები, შევიდნენ სააქტო ხაღაში და იწვევდნენ გარეთ დარჩენილთაც. გარეთ შეკრებილთ უკითხავდნენ სხვა-და-სხვა ამოღებულ მოწოდებას. შეკრებილ ხალხს შემოგრტყა პოლიციელთა რაზმი დამიპრეკა მახლობელ ეზოში. იქვე მიიყვანეს აგრეთვე უნივერსიტეტიდან გამოსული ახალგაზდობა და შემდეგ ყველანი, 630 კაცი, ჩასწერეს. ამათში იყო 12 გარეშე პირი, 101 ქალი, ხოლო დანარჩენი სტუდენტები. დამწყვდეულნი ყვიროდნენ და პოლიციას არ ემორჩილებოდნენ. საღამოს ქალებს ნება მიეცათ წასულიყვენ თავიანთ სახლებში, რითიც ისარგებლა 93 ქალმა, სხვები კი დარჩნენ. მეორე დღეს 53 კაცი ციხეში გაჰზავნეს, ხოლო მესამე დღეს, 25 თებერვალს, ღამით, 463 გაჰზავნეს ციხეში, დანარჩენი კი გაუშვეს. 24 თებერვალს ეზოში დამწყვდეულთ გარს შემოგრტყენ 700 ახალგაზდა, მაგრამ პოლიციამ გაჰფანტა. ამავე დღეს, საღამოს 5 საათზე, მოგროვდა ხალხი, 300 კაცამდე და გაემართა ნიკიტინისა და ტვერის ბულვარისაკენ სიმღერითა და ხმაურობით. პოლიციამ გაჰფანტა სხვა ქუჩებზე; ღამის პირველ საათზე კიდევ მოახდინეს მანიფესტაცია პეტროვკაზე, მაგრამ პოლიციამ გაჰფანტა ისინიც. კვირას, 25 თებერვალს, ქალაქის დაბალი ხალხი, რომელსაც სტუდენტები და სტუდენტი ქალები წინამძღვრობდნენ, მთელ დღეს უწყისობას ახდენდა ქალაქის შუაგულში და ცდილობდა ტვერის ბულვარზე გასულიყო, მაგრამ ეს დაუშალა პოლიციამ და 200 ყაზახ-რუსმა. საღამოს გაბრაზებულმა ხალხმა დაიწყო ფარების მსხვერვეა, მაშინ-კი გამოიწვიეს დრაგუნის ჯარის ორი ესკადრონი და დაუწყეს დაჭერა უწყისობების ჩამდგნით. სულ მთელი დღის განმავლობაში დაატუსაღეს 34 კაცი, ამათ შორის 30 მოსწავლე ახალგაზდობისაგან 19 ქალი ურევია) და 4 გარეშე პირი. 26 თებერვალს არეულობა განმეორდა სხვა-და-სხვა ქუჩებზე დაატუსაღეს 25 კაცი.

მარტს, პეტერბურგში, დილის 11 საათზე, ყაზახ-კრებულთა ტაძარში იწყეს მოსვლა სხვა-და-სხვა წო-

დების ხალხმა, რომელთაგანაც ზოგი შიგ ეკლესიაში შევიდა, ზოგი ეკლესიის გარშემო და ზოგიც მოედანზე დადგა. 12 საათზე შეგროვილთ მოემატა დიდძალი სტუდენტობა—ქალი თუ ვაჟი, ისე რომ ეკლესიის შესავალი, ეკლესია, ბაღი და გვერდის ქუჩები გაივსო ხალხით, რიცხვით 3000 კაცამდე. პოლიცია თხოულობდა, რომ ხალხი დაშლილიყო, მაგრამ მას ყურს არავინ არ უგდებდა. ხალხში გაფრცვლდა სხვა-და-სხვა ფურცლები და ეკლესიის კარებში ერთმა სტუდენტმა ხმა-მალლა დაიწყო კითხვა მოწოდებებსა, რომელშიც აღნიშნული იყო სხვა-და-სხვა მოთხოვნები. ვაისმა ხმაურობა, ასტყდა ყვირილი, რისთვისაც გამოწვეულ იქმნა პოლიციელთა რაზმი და ყაზახები, რომელთა მეოხეშითაც მოაშორეს გარეშე პირები და უბრალო მაყურებლები. პოლიციელთა დანახვაზე პოლიციელებით გარშემორტყმულებმა უკან დაიწიეს და ჯარს სხვა-და-სხვა საგნების სროლა დაუწყეს. რამდენიმე სტუდენტმა გაშალა წითელი და თეთრი დროშა სხვა-და-სხვა წარწერებით, მაგრამ მალე წაართვეს.

ტაძრის მარჯვენა მხარეს ხალხის ნაწილმა დაუწყო ბრძოლა პოლიციის რაზმსა და ყაზახებს; ისინი იბრძოდნენ ჯოხებითა და ეკლესიის ეზოდან წამოღებულის რკინის კეტებით; ისინი ისროდნენ კალიშებს, გაყინულ თოვლსა და ქვებს. ამ დროს ხალხიდან ფილამაც უტარო ჩაქუჩი გაისროლა და თავში დასჭრა შისი უდიდებულესობის ლეიბ-გვარდიის ყაზანის პოლკოს მეორე რაზმის იასაული ისევე; კვერი ისე მაგრად მოჰხვდა იასაულს, რომ ხსენებული ოფიცერი გასისხლიანებული გაიყვანეს რაზმიდან. დანახეს-რა ეს ამბავი გარშემო მყოფმა ყაზახებმა, ჩამოხტნენ ცხენებიდან, შევიდნენ იმ ხალხს შუაგულში, რომელიც ეკლესიის ეზოში იდგა, და ხალხს ბრძოლა დაუწყეს. ხალხის ნაწილი შეიძინაყენ გადგენეს, პოლიციამ წრე შემოავლო და სატუსალოში წაიყვანა. ხალხის მეორე ნაწილი-კი შევარდა ეკლესიაში; ზოგმა ქუდიც არ მოიხადა და პაპიროხსაც-კი ეწეოდა, შევიცარმა შეჰნიშნა, რომ ნუ იტყვივით ვგრე ეკლესიაშიო. ამის პასუხად ერთმა სტუდენტმა სახეში შემოჰკრა შევიცარს. თუმცა ეკლესიაში საშინელი უწყისობა და ხმაურობა დაიწყო, მაგრამ წირვა მაინც ბოლომდე გაგრძელდა; ხოლო მლოცველების ნაწილი საჩქაროთ გავიდა ეკლესიის გვერდის კარებიდან. როცა აღსავლის კარები დახურეს, გამოვიდა მღვდელი ამბოხზე და სიტყვით მიმართა ხალხს, უნდოდა დაემშვიდებინა, მაგრამ იმისმა მეცადინეობამ ამაოდ ჩაიარა. შემდეგ მან სთხოვა ხალხს, რომ ეკლესიიდან გასულიყვენ; ერთმა სტუდენტმა, რომელიც მღვდლის უკან მდგარიყო, ანაფარის სახელოში წაავლო ხელი და ურჩია, რომ უსიამოვნებას მორიდებოდა და თავისთვის მშვიდობიანად წასულიყო. შემდეგ ხალხმა მიადწია ეკლესიის უკანა კედელთან და მოლაპარაკება გამართა იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცენ; უმეტესობამ გადასწყვიტა, რომ თითო-თითოდ ნუ გავალთ ეკლესიიდანო და ყველაფერი, რაც-კი ზედ აღკრძალული რამა გვაქვს, მოვსპოთო. ამ დროს პოლიციაც შემოვიდა და მოითხოვა იქ მყოფი ხალხისაგან, რიცხვით 300 კაცისაგან, რომ ეკლესია დასტოვონ და ყაზანის საპოლიცია ნაწილში წავიდნენ. ნაშუადღევის პირველ საათზე საკრებულო ტაძრის მოედნიდან მანიფესტანტები გაჰფანტეს, რის შემდეგ პოლიციის რაზმი და

მის საკუთარი ინტერესები, არ იცის, რომ მას არ შეეხება ზურის ფასები, რადგან გლეხთა თხ-მუხუთედ ნაწილს მხლელთა თავისთვის მიჰყავს ზური. საბუნებრივად, მრეწველობის მუშებს უკვე საკმაოდ აქვთ შეტეხილი ანა მარტო თავიანთი, არამედ საზოგადო საქმეებიც. და თქვენთვისაც, მიმართა ფელმარმა კრებს, საჭირო არ არის იმის განმარტება, რომ აგრარების სურვილის განხორციელება ნიშნავს თქვენთვის შიმშილს და სუფით დაქვეითებას... არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ აგრარებია არ დასჯერდებათ არც ხუთ მარკას და მოითხოვენ 7—7¹/₂ მარკის ბაჟს. ამიტომაც, — დაამთავრა სიტყვა ფელმარმა — დროა, რომ ხალხი წინააღმდეგს ზურის ჩარჩებისად. კრებამ, რომელიც აღტაცებით უსმენდა ორატორს, ერთხმად დაადგინა: აგრარების მოთხოვნების ასრულება გამოიწვევს გერმანიის სხივითა შეტაკებას სხვა სახელმწიფოებთან, უზომო ზარალს მიადგენს ხალხს და არავითარ სარგებლობას არ მოუტანს მთელ სამდივლ მწარმოებელ სოფელს ხალხს, რომელიც საკუთარი მარჯვებით ირჩენს თავსაც.

ინგლის-ბრანსვალის ომი. ბრძოლის ველიდან ამ ბოლო დროს ნაკლებათ მოდის ამბები. ეგვიპტე უფრო საუკრადლებო ამ უმთა არის მოლაზარაკება ბოტასა და კიტინის შორის, მაგრამ ამ მოლაზარაკებას ჯერ არავითარი შედეგი არ მიჰყოლია, ხალხი, თუ კრიუკერს და მის მეგობრებს დაუფურტებთ, საეჭვოდ არის რამე საუფიო გამოიღოს მან და შესადგუბელი შეიქმნეს ზავის ჩამოკდება, თუ კიტინური არ დათანხმდა ორანჟ-ტრანსვალის დამოუკიდებლობაზე, ტუეების განთავისუფლებაზე და საფიქვლათა ამისტიასზე. ინგლისის მთავრობის მხრივ-კი, რომელსაც საჭიროთ მიზნია კრიუკერისა და რეს-ზუბლიკების მთავრობის სხვა წევრთა გადასახლება, ასეთი თანხმობა არ არის მოსალოდნელი. ბოტასაც, ამბობენ კრიუკერი და მისი მხლებლები, არ შეუძლიან სხვებისაგან დამოუკიდებლათ ჩამოკდნის ზავი და ის პირობები, რომელსაც ის მიიღებს ინგლისელთაგან, სავალდებულო არ არის ბურების სხვა გუნერელებისთვისაც.

ჩინეთი. ჩინეთიდანაც ამ უკანასკნელათ არ მოსულა ცოტათ თუ ბევრათ საუკრადლებო ამბები, თუ სახეში არ მივიდებთ მანჯურიის საქმეს, რომელმაც დიდი მითქმა-მთქმს გამოიწვია სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა მხრივ. როგორც მოგვსენებათ, რუსეთმა ჩინეთს განსაკუთრებული ხელშეკრულება დაუდგა მანჯურიის შესახებ. ამ ხელშეკრულებას სახელმწიფოებმა დიდი კბების თვლით შექნედეს და რუსეთს დაბრძდეს მანჯურიის საბოლოოთ თავის ხელში ჩაგდებას სურვილი, თუმცა რუსეთის ელჩი ირწმუნება, რომ რუსეთს მანჯურიის დაჭერა ჰქონს დროებით მხლელად რუსეთის საზღვრის და რკინის გზის დასაცველათ. განსაკუთრებით იაპონია და შეერთებული შტატები აცხადებენ უკმაყოფილებას ხსენებულ ხელშეკრულების გამო, პირველი იმ მოსაზრებით, რომ ეს ხელშეკრულება ხელს შეუშლის კორეის დამოუკიდებლობას და იაპონიის ხელშეუხებლობას, ხალხი შორეული იმიტომ, რომ ეს ხელშეკრულება დაბრკოლებს იმ სავაჭრო კონტრასის, რომელიც შტატებმა დაუდგეს ჩინეთს.

ცოლი და ქმარი
 მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა.
 (შემდეგი. — იხ. № 10).

ზავიდა ხანი. სიკო და მელანია დაიზარდენ. სიკო არ იყო მაინცა და მაინც ვაჟკაცურად მოყვანილი ტანის,

მაგრამ სამაგიეროდ იმის ლამაზი ქერა პირისხე, ეგვიპტის ფერი პატარა წვერით, და ცისფერი დიდრონი თვალები პირველი შეხედვისთანავე მოგისყიდავდა და თანაგრძობას გამოიწვევდა მნახველში. ოქროსფერი, რბილი, სწორი თმა აშშვენებდა ამ ემზიან სახეს. ლაპარაკშიაც და მოძრობაშიაც სიკო ნელი იყო. როგორც სიხარული, ისე საწყენიც დიდხანს ვაძყვებოდა, სიძულვილიც და მეგობრობაც ხანგრძლივი იცოდა. ძნელად, რომ თუ ვისმეს დემდურებოდა, იმაზე შემდეგში გული მობრუნებოდა. სამაგიეროდ მეგობრისათვის, რომ საქირო ყოფილიყო, ცეცხლში ჩაიწვევებოდა. მელანია და სიკო-კი ახლა, როცა წლოვანები გახდენ, დაშორდენ ერთმანეთს. ისინი ნათესავები არ იყვენ ერთმანეთის და უამისოდ რომ მოწიფულმა ქალმა და კაცმა ერთმანეთთან მეგობრული კავშირი დაიჭიროს, სოფელი ყბად აიღებს. ეს ინსტიტუტურად იგრძნეს მელანიამ და სიკომ და, წამოიზარდენ თუ არა, მორიდებულად, შორს დაიჭირეს თავი ერთმანეთთან. მართალია, როგორც ზვეითაც ვთქვით, სიკო შინაურულად იქცეოდა ზალიკას ოჯახში, მაგრამ ეს ზალიკას და მის მეუღლესთან. მელანიას-კი, როგორც გასათხოვარ ქალს, რიდიტ და მოკრძალებით ექცეოდა. თუმცაღა ეგრე იყო საქმე, მელანიასთან ლაპარაკისაც-კი ერიდებოდა სიკოს, მაგრამ მაინც უმაღლესი ნეტარება იყო მისთვის მელანიას სიხლოვეს ყოფნა. ან დილას, ან საღამოს სიკო, საქმეზე მიმავალი, ან მომავალი, გაივლიდა, ან გამოივლიდა ზალიკასს იმ მიზნით, რომ მელანიასთვის თვალი შეეგლო. მელანიას რაღაც ერთგვარი ტკბილი სევდა მოაწვევებოდა გულზე, სიკოს რომ დაინახავდა. მას საუცხოვო ტკბილ მოჩვენებად, თუ სიზმრად წარმოუდგებოდა თვალწინ თავის ბავშობა, როცა სიკო და ის იკლებდენ ტყე და მინდორს თამაშობით. „რა კაია ბაღნობა! მაშინ არაკაცის რიდი არ გვქონდა, სიკო და მე დავპარბალებდით აღმა და დაღმა! რავა სიზმარსავით მახსენდება!“ გაურბენდა მელანიას ფიქრებში. „რა კაია გულის არის სიკო! იმისთანა მოყვარული გულის კაცი მე არ ვიცი! თვალებში შეატყობ რაც არის“. ხშირად უფიქრია მელანიას. ერთ საღამოს, როცა მელანიას წყაროდან წყალი მიჰქონდა, სიკო მოაჭრიალებდა ფიცრით დატვირთულ ურემს. მელანიამ ჩვეულებისაებრ „გამარჯობა“ უთხრა და შემდეგ დაუმატა:

— სულ მარტული მუშაობ, სიკო!
 — რა ვქნა, მელანო, ვინ იკადრებს ჩემისთანა ობლის აფხანაკობას! თვარა ერთი შენისთანა აფხანაკი რომ მყავდეს, რა ბედნიერი ვიქნები! — უპასუხა სიკომ.
 — ჩემისთანაი არა, უკეთესიც-კი იყაბულებს. — მელანია გაწითლდა და მეტი ვეღარა თქვა-რა. ის კარგა ხანს იყო ერთ ადგილას და უმზერდა მიმავალს სიკოს, რომელსაც მისმა სიტყვებმა თვალებში რაღაც ერთგვარი ბრწყინვალეობა მოჰგვარა. „ნეტაი ნენაი და ბაბაი დამანებებდენ, ხანდახან სადილ-ვახშამს მაინც ვაფუკეთებდი! ახლა რა ქნას ერთათ ერთმა კაცმა!“ ფიქრობდა მელანია გზა და გზა.
 სიკო წამოიზარდა თუ არა, ძლიერ შრომობდა, რომ კარგი სახლ-კარი აეშენებია: დედის შემდეგ კიდევ რამდენიმე დღიური მიწა შეიძინა, კარგი პატარა ბელელი დაიდგა, უღელი ხარი იყიდა, ორ ოთახიანი სახლისთვის ყოველივე ხის მასალა მზად ჰქონდა. სიმინდი და ლომი



ყოველთვის საკმაოდ მოსდიოდა. ტანზე კარგად იცვამდა. ერთი სიტყვით, ცოტა კიდევ და ბევრ ძირ მოსახლეს გაუსწრებდა წინ. როცა რამე ახალ საქმეს განიზრახავდა სიკო, ყოველთვის ზალიკას დაეკითხებოდა: „შენ თუ არ მოგწონს, ხელს არ მოვკიდებო“, თან ეუბნებოდა. ზალიკა, რაც შეეძლო, წრფელის გულით აძლევდა დარიგებას.

რამდენიმე დღის შემდეგ მელანიას ნიშნობიდან, სიკომ მიუგზავნა ზალიკას შუამავალი—მელანია მომეცი ცოლათო.

— ჩემი ქალი დანიშნულია სამსონა წაბლაძისაგან. ახლა რა სვინდისი მომცემს სხვაზე გავათხოვო! გაიკვირვა ზალიკამ.

— აგი საქმე თუ არ უუსრულოდა, კაცი დედღუპება იცოდე. თავი ცოცხალი არ მინდაო, ჩივა.—უთხრა ზალიკას შუამავალმა.

— რა ვქნა, ძმაო? ბეჭედი რომ წამეიცვა ხელზე, მას მოღმა ჩემ ქალს ქმრიანი ჰქვია. ახლა იმის სხვაზე გათხოვა რაღა იქნება! აქამდი რომ ეთქვა, მევეფიქრებდი და, რა ვიცი, მგონია, ვარს არ ვეტყოდი. ახლა საქმე გათავებულა, იმ კაცს ნიშანი გამოვართვი და პირს რაღა გავსტეხ, ვარს რაღა ვეტყვი! რაღა კაცი ვიქნები აგი რომ ვქნა!

ამ სიტყვებით გაისტუმრა ზალიკამ სიკოს შუამავალი. ვინ იცის, მელანიას დანიშნამდე რომ ეთქვა სიკოს, ზალიკა გახდებოდა თუ არა თანხმა, რომ თავისი ქალი სიკოსთვის მიეცა. ზალიკას უნდოდა მელანია ისეთი კაცისთვის მიეთხოვებია, სადაც მელანიას მარტო ხელობით მძიმე შრომა არ დასწოლოდა ტვირთად. სიკო კი მარტო ხელი კაცი იყო და ოჯახიც ჯერ მოუწყობელი ჰქონდა.

— რა ახლო ვიქნებოდი თქვენთან, სიკოს რომ... — თქვა მელანიამ მორცხვად, როცა სიკოზე დაიწყეს ლაპარაკი ზალიკამ და მისმა მეუღლემ.

— გვაცალე, შვილო, რა შენი საქმეა! მადლობა დმერთს, დედ-მამა ცოცხალი გყავართ! ხომ იცი, შენს ბედზე ჩვენ ვზრუნავთ და შენდა აეს არ მოვინდომებთ.— ტკბილად უთხრა მამამ მელანიას.

ამას შემდეგ საბრალოს ენა აღარ დაუძრავს. მელანიას გათხოვის შემდეგ სიკო რამდენიმე დღეს ავად იყო. შემდეგ, როცა მორჩა, დაყიდა რაც რამ ებადა სახლ-კარიანად და მიწიანად, აიღო პასპორტი და წავიდა სადღაც, საიდანაც სოფელში მოსული აღარავის უნახავს. ამბობდნენ-კი, რომ საშინელი სიმთვრალე დასჩემდა, მუდამ უამს ღვინით გაქენთილი გდიაო.

VI.

როცა სამსონა ახლად ჯვარ-დაწერილი ეკლესიიდან თავის მეუღლით შინ დაბრუნდა, ცხენიდან ჩამოხტომისთანავე დაეკიდა მკლავზე თავის მეუღლეს, მიუყვანა თინათინთან და უთხრა:

— ა, ნენავ, შენდა მომიცემია გასაზრდელად, შენებურა ასტავლე ყოლიფერი.

მელანიამ გააღო თავისი ღიდრონი თვალები და თავისებური დამშვიდებულად შეხედა თინათინს. მას არ მოეწონა არც ეს მოცოცო დედაბერი და არც ქმრის სიტყვები: „რას გაგიღია თვალები! აწი ჩემ ხელში უნდა იყო, აი ოჯახი ჩემი საუფროსოა“. თითქო ეს უნდა

უთხრას თინათინმა მელანიასო, თავის მხრივ ისეთი თვალებით შეხედა.

თინათინს არ მოეწონა სახელი „მელანია“. რა სახელია ნეტაი „მენალია“! თლათ ყრუია იი გადაღმეთის სოფელი! ახლანდელ დროში ვინ დაათქმევს სხოგან „მენალიას“!—საშინელი გესლიანი დაცინვით თქვა თინათინმა.

— რალამც ნენას არ მოსწონს ჩემი ცოლის სახელი, არც მე მომწონს, უნდა გამოვცვალოთ,—თქვა სამსონამ.

— სახელი თინათინისთანაი უნდა, თვარა სხვები რა სახელებია! რაფერ წერია ბიცოლა ვენფხის ტყავში? თინათინ ბზის მაწუნარი ქალიო, კიდევ—თინათინის მაქვებელს ათასი ენა უნდაო,—უთხრა თინათინს ლევანტიმ.

თინათინ მიხვდა ლევანტიე დამცინისო და ამიტომ მკვავხედ უპასუხა:


— რაცხაფერ სწერია, იგი შენი საქმე არ არის, შენსავით აბდალს როის დუუწერია, ჰკვიანმა კაცმა დასწერა.

„ვენფხის ტყავი“, ანუ ჩვენ უკეთ ვთქვით, „ვენფხის-ტყავი“, ამაოდ არ იყო წარმოთქმული ლევანტიესაგან: თინათინს კარგა ხანია სწამდა, რომ არსებობს წიგნი, სახელლობ „ვენფხის ტყავიანი“, სადაც ჩვენი ქვეყნის დიდკაცობა ძველები და ახლები, ქალი თუ კაცი, სულ მოხსენებულა შიგ და იმათ რიცხვში მეც ვურევივარო. აი როგორ წარმოსდგა თინათინის რწმენა: ერთხელ წაბლაძეებს თავის ნაბატონარი ესტუმრა. რასაკვირველია, წაბლაძის ოჯახი გაუმასპინძლდა ნაბატონარს. თინათინ თავისებურა დასცქრიალებდა და ემსახურებოდა სტუმარს. ნაბატონარს მოეწონა თინათინის სამსახური და ამიტომ კომპლიმენტად უთხრა:

— რა ყოჩალი ყოფილხარ, თინათინ! იმიტომაც გქვია ამისთანა კაი სახელი, რომ ამისთანაი ხარ. იცი, შენი სახელი ვენფხის ტყაოსანშია მოხსენებული.

აქ ნაბატონარმა თქვა ლექსი „ვენფხის ტყაოსნიდან“: „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“ და სხვა.

თინათინს ყოველთვის მახვილი ჰქონდა ყური, თუკი ვინმე მის შესახებ რამე ქებას იტყოდა. აქაც ძლიერ დიდი ძალა დაატანა გონებას, რომ ბატონის ნათქვამი უკლებლად დახომებოდა. როცა ნაბატონარი წავიდა, თინათინ, რა თქმა უნდა, გადამეტებულად ეუბნებოდა, თუ როგორ აქო ის, თინათინ, ბატონმა და თან უმატებდა: თურმე რაცხა ვენფხის ტყავიანი ყოფილა და იმაში წერებულა თინათინ მზის მოწუნარე ქალიო და თინათინის მაქვებელს ათასი ენა და ჰქვა უნდაო. მხოლოდ ის-კი არ იცოდა თინათინმა, რომელ თინათინზე იყო ეს ლექსი ნათქვამი—მაზე, თუ სხვა თინათინზე და ეს აღონებდა. ამასობაში თინათინმა ვილაცასაგან გაიგონა, რომ ვილაც ფრანკუზი მოსულა და ჩვენი ქვეყნის ხალხი სულ აუხატავს და აუწერიაო. თინათინ იმდენზე მდიდარი ფანტაზიის პატრონი იყო, რომ ნაბატონარის ნათქვამი ძლიერ ადვილად დააკავშირა მგზავრი ფრანგის ამბავთან. „ახლა კი მივხდი,—ამბობდა ფიქრებში თინათინ,—იგი ვენფხის ტყავიანი იმ ფრანკუზს შუუდგენია-მარა ჩემი სახელი ვილამ უთხრა იმ დაწყევდილს! მარ რომ იტყვიან ფრანკუზი ვარსკლავის რიცხვიოთალი ყოფილა“. იქვი-კი აღარ ჰქონ



ბატონმა რომ თქვა იმ წიგნში ნაქები თინათინ თინათინ იყო და არა სხვა ვინმე. მართალია, როცა ლევანტიმ წერა-კითხვა ისწავლა, იმოვნა სადღაც „ვეფხვის ტყაოსანი“ და წაუკითხა თინათინს, მაგრამ ჩვენმა თინათინმა შორს გაიგდო შოთას ვეფხვის ტყაოსანი:—ავი რა ყოფილა, ვინცხაის ნაჩერჩეტი ზღაპარი? იგი, ფრანცუზმა რომ დასწერა, სულ სხვაია, ორი დასწერა თურმე, ერთი ვინცხა აქოურ დიდკაცს აჩუქა თურმე და ერთი თვითან წვილა. იმას ასე ადვილათ ვინ იშონის!

ლევანტიმ „ვეფხვის-ტყაოსნის“ ამბავი კარგა გამოიკითხა, სხვათა შორის, სოფლის მასწავლებელსაც ჰკითხა და იმანაც უამბო „ვეფხვის-ტყაოსანზე“ და მის ავტორზე ბევრი რამე, უთხრა ისიც, რომ ფრანგები, მართალია, მოგზაურობენ ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ „ვეფხვის ტყაოსანი“ არც ერთს მათგანს არ დაუწერიაო. ამის შემდეგ ლევანტი დასცინოდა თინათინს „ვეფხვის ტყაოსანის“ გამო და, ის იყო, ახლაც, როცა მელანიას სახელის გამოცვლაზე ასტეხა თინათინმა ლაპარაკი, ლევანტიამ დაუწყაო თინათინს დაცინვა.

თინათინის რჩევამ გასკრა, მელანიას გამოუცვალეს სახელი და დაარქვეს ახალი სახელი ვინატრე. ეს სახელი მელანიას მულმა, ასმათიმ, ამოარჩია თავის რძლისთვის და სხვებსაც მოეწონა. მელანია-კო ვერ ეთვისებოდა ახალ სახელს, როცა ეძახდნენ, მას ხშირად ასე ეგონა სხვას ეძახიანო. მელანიას მშობლები, დები და ძმები-კი ისევ ძველ სახელს ხმარობდნენ ლაპარაკში, რაც ძლიერ არ მოსწონდათ მელანიას ქმარს და მის ნათესავებს. ჩვენც, მკითხველო, ძველი სახელი, მელანია, შევანარჩუნოთ ჩვენი მოთხრობის გმირ ქალს.

(შემდეგი იქნება).

ისტორიული მეცნიერებიდან.

(შემდეგი.—იხ. № 8).

წვენი უკვე ვიცით, თუ როგორ კარგათ ესმოდა გიზოს საზოგადოებრივი და გონებრივი მიმდინარეობის ურთიერთ შორისი დამოკიდებულება. პოლიტიკურმა პოლემიკამ კიდევ მეტი საშუალება მისცა მას გამოეთქვა თავისი აზრი ამის შესახებ. ის ამბობს, რომ, „იდეა, მოძღვრება და თვით კონსტიტუცია“ გარემოებას ემორჩილებიან და ხალხი მათ ღებულობს მხოლოდ მაშინ, როცა ისინი იცავენ მის კეთილ-დღეობასა და ინტერესებს¹⁾. ყველაზე კარგათ გვიჩვენებს, მისი აზრით, ინგლისის კონსტიტუციის ისტორია, „თუ რამდენათ ემორჩილებიან გარემოებებს წარმომადგენლობითი სისტემის საეჭვო თეორიები²⁾. ჩვენ ვხედავთ ინგლისის კონსტიტუციის შენობას და ვივიწყებთ მას, თუ როგორ შენდებოდა ის. ჩვენ აღაშინის სიბრძნეს ვაწერთ პროგრესიულ განვითარებას, რომელიც მარტოდ-მარტო აუცილებლობის ნაყოფია“³⁾. რევოლუციის თეორეტიკოსები ცდებოდნენ „ან სტუუ-ფდენ“ (ხაზ-გასმული ჩვენია), როცა ხალხის თვით-მპყრობელობაზე ლაღადებდნენ. ნამდვილათ-კი მთელი ხალხის თვით-მპყრობელობაზე-კი არ არის აქ ლაპარაკი, არამედ

ხალხის ერთი ნაწილის მეორე ნაწილზე გამარჯვების სახებ. რადგან მესამე წოდების მომხრე იყო დიდი უმრავლესობა, აქედან წარმოსდგა ხალხის თვით-მპყრობელობის თეორია. ეს თეორია საჭირო იყო მაშინ, რადგან ძალისათვის საჭიროა დოქტრინა: „ხალხი უთუოდ ასე უნდა ფიქრობდეს და სხვებსაც ისე აჩვენებდეს თავს, რომ ის მართალია“⁴⁾.

კონტრ-რევოლუციის მომხრეებს მულამ კარგათ ესმოდათ, რომ თავიანთ მიზნის მისაღწევათ მათთვის საჭიროა ხელთ იგდონ მმართველობა და ამით ისარგებლონ თანახმით თავის ინტერესებისა. საშუალო კლასს-კი თავის მხრით უნდა ახსოვდეს, რომ მისთვისაც საჭიროა მმართველობის ხელში ჩაგდება და არა მისი დანგრევა⁵⁾.

წარმომადგენლობითი მმართველობა იმიტომ არსებობს, რომ თავის-თავში შემოჰკრიბოს და გამოხატოს საზოგადოებრივი საჭიროება-მისწრაფებანი და აგრევე უფლებებით აღჭურვოს ისინი, რომელთაც შეუძლიანთ მიხვდნენ და დააკმაყოფილონ ეს საჭიროება-მისწრაფებანი⁶⁾. რასაკვირველია, გიზოს აზრით, ამისი შესრულების უნარი აქვთ მხოლოდ „საშუალო კლასის“ წარმომადგენლებს და უფლებებიც, მისი თეორიით, სწორედ ამ კლასის საკუთრებას უნდა შეადგენდეს და არა იმ (population exterieure)—გარეშე მცხოვრებთა—(ასე ეძახის გიზო მუშათა უმრავლესობას), რომელთა უფლებებიც სახეში მისაღებია და დასაცველია, მაგრამ რომელმაც შეიძლება დაჰლუპოს თავისი-თავი და სახელმწიფოც, თუ მმართველობა ხელში ჩაუვარდათ⁷⁾. როცა დაბოლოს მარქსი და ენგელსი სწერდნენ, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფო მმართველობა იგივეა, რაც ბურჟუაზიის საზოგადო საქმეთა გამგეთამორჩეული კომიტეტიო, იგინი იმეორებდნენ ამავე აზრს, მხოლოდ არა როგორც „საშუალო კლასი“, არამედ როგორც „გარეშე მცხოვრებნი“ (population exterieure), რომელთა გაბატონების მართო ერთი ფიქრი-კი შიშის ზარსა ჰგვირდა გიზოს.

როგორც უნდა ყოფილიყო, ყოველ ექვს გარეშეა, რომ გიზოს ძალიან კარგათ ესმოდა კლასსიური ხასიათი იმ სოციალ-პოლიტიკური მიდრეკილებისა, რომლის წარმომადგენლათ და დამცველათ თვითონ გამოდიოდა. როცა ძველ წეს-წყობილების მომხრენი უსაყვედურებდნენ მას, რომ კლასსიური ბრძოლის ქადაგებით ის ვითომ მანებებელ გრძნობებს აღვივებდეს, ის უგებდა, რომ მისი სურვილი იყო მხოლოდ აენუსხა საფრანგეთის ისტორიის დასკვნა, რომელიც საესეა წოდებათა ბრძოლით ანუ, უკეთ, ის შექმნიდა წადებათა შარის ბრძოლის-მიერ. „ეს იცოდნენ და ამას ამბობდნენ ბევრი საუკუნეებით წინ რევოლუციამდე. ეს იცოდნენ და ამას ამბობდნენ 1789 წ., ეს იცოდნენ და ამას ამბობდნენ ამ სამი თვის წინათ⁸⁾. მე მგონი, ყველას ახსოვს ეს და მაინც კიდევ მე მისაყვედურებენ მის წარმოთქმას. ფაქტები არ ისპობიან სამინისტროთა და პარტიათა სურვილითა... რას იტყვიან, უეცრივ რომ საფლავიდან აღდგნენ ახლა ის მამაცი ბურჟუები, რომელთაც გენერალურ შტატებში ჰგზავნიდნენ

1) ibid., p. 91.
2) ibid., p. 157.
3) ibid., p. 290.

4) ibid., p. 138.
5) ibid., p. 237.
6) ibid., p. 283.
7) ibid., p. 326. note.
8) დაწერილია 1820 წელს.



მესამე წოდების უფლებათა დასაცველათ და მოსაპოვებლათ, და გაიგონონ, რომ, თითქო თავად-აზნაურობას არასოდეს არ ებრძოლოს მესამე წოდებასთან, რომ მას არავითარი უსიამოვნება არ ეგრძნოს მესამე წოდების გაჩენით, რომ მის ზრდას ბრახზე არ მოჰყავდა თავად-აზნაურობა, რომ თავად-აზნაურობა სრულებით ხელს არ უშლიდა მის სოციალურ და პოლიტიკურ წარმატებას... ჰვი, თქვენ, გადაშენებულ ჩამომავლობაზე იმ მოდგმისა, რომელიც ერთ დროს ჰბატონობდი დიდებულ ქვეყანას და შიშის ზარს ჰგვირდი კოროლებს, თქვენ უარსა ჰყოფთ თქვენს წინაპრებს და თქვენს ისტორიას! თქვენ გრძობთ თქვენს დაცემას და ამიტომაც ეწინააღმდეგებით თქვენს წარსულ დიდებას!

კლასთა ბრძოლაზე მსჯელობით გიზოს აზრადაც არ ჰქონია ახალი რამ წარმოეთქვა: კლასთა ბრძოლა არც თეორიაა და არც გიზოთეზა, ის სულ უბრალო ფაქტია; „ვიმეორებ—შეჰყვირა გიზომ—არა თუ არავითარი ღვაწლი არ მიუძღვის მათ, რომელთაც ბრძოლა დაუნახავთ, არამედ სასაცილოცაა მისი უარის-ყოფა“. გიზოს სირცხვილათ მიაჩნია, ის, ბურჟუა, იძულებულია უკითხოს თავად-აზნაურობას საფრანგეთის ისტორიის გაკვეთილები და დაუმტკიცოს მას, რომ „ის მეტის-მეტათ გულ-მაფიწყი გახდა, როცა საქმე მოგონებებს ეხება“! ხოლო იმ საყვედურებზე, რომ ის მაგნე გრძობებს აღვივებს და მოქალაქეთა შორის განაწილებას სთესავს, გიზო თამამათ უბასუხებს: „როგორ!.. უნდა დავივიწყოთ ჩვენი ისტორია მხოლოდ იმიტომ, რომ დასკვნა ამ ისტორიისა თქვენთვის ვერაფერი სასარგებლოა“?

ეს ციტატები⁹⁾ საკმაოთ ახასიათებენ გიზოს მაშინდელ მებრძოლ სულის მდგომარეობას. კიდევ უფრო უკეთ დასახასიათებლათ მიგითითებთ მის თხზულების „Du gouvernement de la France“-ს ეპიგრაფზე. ის ამოღებულია ჰასკალის „Penses“-დან და ასე ლაღადებს: „სასიამოვნოა ქარიშხალში გემზე ყოფნა, თუ იცი, რომ არ დაიღუბები“! ყველა ამათში ისე ნათლათ გამოსჰქვივს ბურჟუაზიის კლასიური თვით-ცნობიერება, რომ საჭიროთ არ ვხედავთ კიდევ ამოვწეროთ რამ ამის შესახებ. ამის გამო ჩვენ აქ აღარას ვიტყვი არც არმან კარრელის წიგნზე: *Histoire de la contre-revolution en Angleterre* (Paris 1827), არც ალექსი ტოკვილის კიდევ უფრო წინა დროის თხზულებებზე. ჩვენ უკვე შეურყეველათ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ რესტავრაციის დროს ხედავდნენ კლასთა ბრძოლაში სენ-სიმონი და საფრანგეთის ბურჟუაზიის ბევრი მეცნიერნი ახალი დროის ხალხთა ისტორიულ განვითარების უმთავრეს ძარღვს. ჩვენ სასარგებლოთ ვცანიით ამ ფაქტის გამოამჰყარავება, რადგან, როგორც ვტყობა, ბევრ კრიტიკოსებს დარჩათ ის უცნობლათ. აი, მაგ., ემილ ვანდერველდი კატეგორიულათ ამტკიცებს, რომ კლასიური ბრძოლის შემეცნება არის „დემოკრატიული სოციალიზმის დედა-ღერძი, რომელიც ასხვავებს მას ბურჟუაზიულ და უტოპიურ სოციალიზმის აწმყო და წარსულ ფორმათაგან“, და რომ ეს მცნება „მთელი თავისი შედეგებითა პირველათ განიმარტა „მანიფესტში“. უნდა გამოვტყდეთ, რომ იმ კაცისაგან, რომელმაც თითქმის საიუბელიეო წიგნაკი დასწერა „მანიფესტის“ შე-

სახებ, უფრო მეტი ყურადღება მოითხოვება ასეთს საგანში. აგრევე ბ. ვერნერ ზომბარტი კრიტიკაში ატარებს „მანიფესტის“ შეხედულობას კლასთა ბრძოლის ისტორიულ მნიშვნელობაზე და ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს, რომ მეორმოცე წლებში ეს აზრი სრულებით ახალი არ ყოფილა პოლიტიკურ ლიტერატურაში¹⁰⁾.

„Devenir Social“-ის 1898 წლის თებერვლის წიგნში მოთავსებულ წერილში „Essai d'interpretation et de critique de quelques concepts du marxisme“-ში ბ. ბენედეტო კოჩე მეტის-მეტი ყურადღებით „უშვრება კრიტიკას“ მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას კლასთა ბრძოლაზე. მაგრამ ამ ბეჯით კრიტიკოსთანაც არ გაუვლია იმ აზრს, რომ ამ თეორიას ჯერ კიდევ ბურჟუაზიის თეორეტიკებიც ქადაგებდნენ.

აი, თუნდა ტომას კერკონი, რომელიც ყოველ მხრივ „კრიტიკაში ატარებს“ მარქსის მოძღვრებას და საკმაო დაწვრილებით არჩევს „მანიფესტს“, ის ერთხელაც არ დაჰკითხებია თავის თავს, ნუ თუ მართლაც მხოლოდ მარქსს ეკუთვნის აზრი კლასთა ბრძოლაზე¹¹⁾.

(დასასრული იქნება)

საბასუხო წერილი ხიდისთავიდან (გურია)


„კარგს კაცს როგორ დაუჟარგო რაც რამ სიკარგაკაც აქვსო.“
გურამიშვილი.

„კვალის“ მე-7 №-ში მოთავსებულია „წერილი გურამიდან“. წერილის ავტორს ჰსურს დაბა ხიდისთავი მისი დაწესებულებებში „დეგ-გმირებთურთ“ განიხილას მხედოდ წარსული წლის განმავლობაში, ესე იგი, ალბათ, სურს ამ დაბის ერთი წლის მხრ-გრესიულ-რეკრესიულ მიმდინარეობაზე მიგვითითოს. ვნახთ, რამდენათ სამართლიანია მისი შენიშვნები. „ავიდეთ დ. ხიდისთავი (ბრძანებს ავტორი), აქ ადამიანი ვერაფერ ცვლილებას ვერ ხედავს (ნუ თუ დავიჯეროთ?!). ხედავთ იმ ისე უსწორ-მასწორ-რო ქუჩებს, ღუჩებს წინ ჩამწკრივებულ „ჩარჩუებს“. ხედავთ ისე იმ „ბესო, არტემ, თეიმურაზს“ თავიანთი უაღბო ყანთარ-სასწორით და მოკლე არშინით (ალბათ ამ არშინს 15 გოჯი ექნება).“ ნეტავი ვის ეძახით ჩარჩ-ჩარჩუებს და სად არიან ისინი, დ. ხიდისთავში თუ სხვაგან?! ნეტავი გავგაგებინა, სად არიან ეს „ბესო, არტემ, თეიმურაზ“, რომელთაც ისე აუგდათ ეს თვალ-ახილული ხალხი (იქნაიეთ სხეში, საქმე ხიდისთავულებთან გვაქვს), რომ მათ უაღბო ყანთარ-სასწორით და მოკლე არშინით ატეულებენ და ჰეუღეუენ! წერილის ავტორი შეხურობილას მარტო იმ აზრით, რომ კაცს რაკი ღუჩანი აქვს და ვაჭ-რობს, ის უეჭველათ ჩარჩია, მატეუარა-გაიძვერა და უფეჯლს მიხეცს გარეშე ის ზიზდის დირსიაო. თორემ, ეს რომ ასე არ იყოს, ნუ თუ ასე გათახსირება შეიძლება მთელი დაბელების, რომ იქ სოღომ-გომორი აღმოჩინა და ერთი ვაჭარიც ვერ ნახა რაიუე კაცობის, ადამიანობის მიმღეჯარი. მაგრამ ავტორს, უეჭ-ველათ, ერთი ძველი ამბავი აქვს საბუთათ „ბესო-არტემ-თეი-მურაზის“ გაწკებდვისა. აი ეს ამბავი: ამ სმში თუ ოთხი წლის წინათ ამ სმს ვაჭარს (და არა ჩარჩს) ერთმა ვინმემ შესწამა, მათი ყანთარი უაღბო უნდა იყოსო. ყანთარი დაბეჭდეს და სთა-

¹⁰⁾ იხილეთ *Sociale Bewegung in 19 Jahrhundert* p. 1 და 2.

¹¹⁾ იხ. *A History of Socialism* by Thomas Kirkon, London 1900, თავი მე-7, 8 და 9.

⁹⁾ ამოწერილია *Avant-Propos*-დან *Du gouvernement de Ia France*-ის მესამე გამოცემიდან.



ნადო მთავრობას გარდასცეს; უნთარი შეამოწმეს და ისევ უკან დაუბრუნეს ზატონებს, როგორც „ყაღბი“ კი არა, არამედ როგორც „ნადი და სწორი“. ეს ამბავი თვით ჩემგან იყო მაშინ მხსენებული როგორც ქართულ გაზეთებში, ისე რუსულშიც. იქნებ იმაში ხედავთ თქვენ დიდ ცოდვას, რომ ამით საბრძოლველო ფარდული ააკეს, ზარკს უიღუფობენ და ეს წარმოება ვიღაც მხატვრების და გადათიელებს არ ჩაუგდეს? შემდგომი ხართ აქაც. დამისახელოთ, როდის და ვინ მოატყუიდა? ან როდის იყო, რომ ესენი სხვა ფორმებზე იათათ უიღუფობდნენ (თუნდ „შუამავალზე“). და რომ ხანდახან მეტსაც აძლევენ (რადგან ეს ვაჭრობის კანონია)—ცხადია და ადვილი დასმტკიცებელი. ერთი მაინც დაგვისახელო საბუთი, რომელი „ჩარჩუკა“ გადაუღებეს იმათ თავიანთი „დუქნუკებით“?!. ვისი მამული დაინარჩუნეს „ნეუსტოიკაში“, სამი ზირი გვაგთ ადებული და ერთის ნაკვირვები მაგალითი მაინც გეცოდინებათ... არა, გეთავაზ, დღეს გურია, და კერძოთ ხიდისთავლები, ისეა დაგეშილი, რომ მათ ყაღბი უნთარ-სასწორით და მოკლე არმით ვერავინ მოატყუილებს, დამხალ 2 კახ. ტარანს რე შურად ვერ მიჰყოფიან, რადგან ის თქვენი დაბეჩავებული „ზეტრიელა“ თვალახელილია და მოქალაქეობის გზაზე არის დამდგარი, მაგრამ თქვენს ბუნებურ თვალს ეს ცვლილება ვერ შეუნიშნავს. ვერ შეუნიშნავს ისე, როგორც ის, რომ ხიდისთავი ყოველთვის სხვა მის გარეშე სოფლებების ტანის მიმტემა, ზირული საკეთილ მკაღითის მხვეუნებულია. შეგეძლოთ შეტემაში, რომ ერთი ის თქვენ მიერ წესდებული ჩარჩი (თეიმურაზი) სამი წელიწადი სამკითხველს მოაღარა და წვერთაგან მადლობის მეტი არა დაუმსხურებია არა. იგივე ზირი რამდენსავე წელიწადს ემსახურა დაბას, როგორც დეპუტატი, ემსახურება ესლან კეკელიას და არის სამხრუნველს მოაღარად. ამასთან მას და „ბესოს“ აქვს მინდობილი რამდენიმე ათი თუმნის საქმე და ეკვლისის გაღავნის შემოვლება. განა ისეთი ტიპის ჩარჩები რომ იყვენ ხიდისთავლები, როგორც თქვენ გაქვთ წარმოდგენილი, რამე საზოგადო საქმეს მიანდობდნენ? როგორ ფიქრობთ, ამით კაცების ცოდნა და დათასება არ იცინა!?.*)

განა ეს ჩარჩ-ჩარჩუკები არ ინახვენ აქურ „საარაკო“ სამკითხველს, რომელსაც ერთმა გამგემ, რომლის დასახელება თქვენ არ გინებუბიათ, თულები გაუთლანგა და წიგნები დაუთახატა და, რომ ადრე არ ჩამოერთმიათ, მთლად „ადვილად ზირისაგან ქვეყანისა“. განა ზირულად ხიდისთავლებმა არ დაიარსეს სამრეგლო სკოლა, ის სამრეგლო სკოლა, რომელსაც ერთმა ცრუ ზესტალოცმა კინადამ სული დააღვივნა!?! გაისხეეთ ეს სამკითხველს გამგე და ეს ძალათ მანკოვნე ზედგოვი, იქნება იცნობდით, ან იქნება ისინი ერთმანეთს იცნობდნენ!

დუქნების ბოლოს, — ბრძანებთ, — წამომჯდარა ილო და ლესავს და ლესავს წამლებს და შეუწუნებლიე გზავნის საიქიანო. ზოგს თურმე ეს ვაგუბტანი მიშაკით სწამლავს და ზოგს ტრიხინით. ვინაა ეს ილო, ასე რომ აუგდია თავი და ქვეყანას სწამლავს? ჩვენ ვიცნობთ მხლად ერთ ილოს, რომელიც რზურ-გეთის აფთაქის ზატონ ბ. ხუნდაძეს ჰყავს აქ აფთაქის მდარზიაში, მეტს არავის ვიცნობთ. გაისრჯეთ და დაგვისახელოთ — ვინ მოწამლა, ვის შეუმოვლას სიცოცხლე, ვინ გაისტუმრა საიქიანს. კაცს ასეთ შემადრწუნებელ ბრალს სდებთ და ხუ თუ სიტუვების საბუთად ერთი მაგალითი არ გქვებათ? თუ მკვდარს ვერ გაცნობს, ერთი ცოცხალი მაინც ააღანარაკეთ თვისი საბუთებით, თუნდ აი ის თქვენი „გადარჩენილი“, რომელმაც

*) მოიგონეთ ყარამან მწერლის სამკითხველს წვერობიდან გამორიცხვა... ასოთამწეობი.

ილოს ხალხს „ტრინინა-მიშაკს“ გაუძლო და იხოვლა. ვი იყო ეს გადარჩენილი და ან რა კუჭი ეწოდა, თქვენ თუ არ იცით, მე გეტყვით საიდუმლოთ უფრო და იმედი მაქვს ამ ხვაშადას შეინახვით; ეს ბრძანებოდა ახლად კურს-დასრულებული ფერმალი მ. კობლატაძე, რომელმაც გუბერნატორთან იხოვლა ზირადი ინტერესებით ადჭურვილმა — ილო ასეთ-ისეთიანო. ეს სახიფათო მონდობილი ჰქონდათ მაზრის ექიმს თავ. ერისთავს და ბოქაულს ბ. ქელებიანს, რომელთაც ჰქონეს თვით კობლატაძის მიერ დასახელებულ მოწმეებს და გამოიკვია, რომ ილოს არა ვითარი ისეთი საქმე არ ჩაუდენია, რაცა მას ჩირქს სცხებდეს. აი თქვენი „გადარჩენილი“, რომელსაც სურს ვიღაც „ზონსკე-ტიტელების“ შემწეობით ხიდისთავში „ლექიბიცა“ დაიარსოს, ჯამაგირი სამასი მანეთი ექნება და ამასთანავე ნება труда (ა ბიჭო!) 1200 заработаеть (ამის საბუთს თვით რედაქციას ვურდგენ). აი თქვენი „გადარჩენილი“ და თუ დანარჩენებშია ეს ასეთი გადარჩენილები გამოვიჩინდათ, გადარჩენის ნაცვლად კლდეცედაც-კი გადაგჩვენ...

ილოს როცა ანდერძი აუკო ბ. კორესზონდენტმა, მერმე სამკითხველს მისდგა და სურს ვამცნოს მისი ერთის წლის ისტორია, მაგრამ გული არ უსვენებს და ერთის წლის მაგიერად სამი წლის ამბავსაც ეხება გაკვრით, კანტი-კუნტად და ყველგან ხედავს ცუდ მხარეებს და კარგს-კი ხელს აფარებს. გვანუგებებს და ირთობთ ამბობს, რომ „საარაკო“ სამკითხველს რდესმე მოუბრუნებდები. მაშ, ჩემო კარგო, მე კიდევ მასლას დაგიმზადებ, იქნებ გამოგადგეს. ეს სამკითხველს დაარსდა 1895 წ. ზატონელ სიმონ ბერეჟიანის სახელობაზე, მაგრამ რადგან ბ. ბერეჟიანი აქ არ იმყოფებოდა, სამკითხველს, მისი თანხმობით, განაკებდნ თვით წვერთა მიერ არჩეულნი გამგენი. ვერ ვიტყვით, რომ ყველა გამგე ერთნაირი მუყაითობით განაკებდა მეთქი, მაგრამ ამას-კი ვიტყვი, რომ ერთი გამგის მეტი საზოგადოებას არავინ არ „გამოუხანხურებია“, ერთის მეტისთვის სიყალბე არ შეუწამებია და არ დაუმტკიცებია. ზირულად განაკებდა სამრეგლო სკოლის მასწავლებელი მ. ჯ—ძე, და სხამ სხვა ადგილას არ წავიდა, საზოგადოება მისი გამგეობით საკმაოთ კმაყოფილი იყო. ამის შემდეგ არჩეულ იქმნა მისი მოადგილე მ. კ—ძე, რომლის ხელში-კი აირია მონასტერი! საზოგადოებამ ეჭვი შეიტანა და დანიშნა სარევიზიო კომისია, რომელმაც აღმოაჩინა: თუელი გათლანგული, წიგნები გაფანტული, ანგარიში დაბნეული, დავთართი ზეპირი შესამოწმებლად მოუხერხებული. ეს ყოველივე მოხსენდა საზოგადო კრებას. კრებამ მოინდომა მისი გამოცვლა, მაგრამ ბ. კ—ძემ განაცხადა: მე ჯერ ვაგლი არ გამსულა, კიდევ „სამი წელიწადი უნდა ვისიერნოთ თქვენს ზურგზე“. როცა ეს მოსაზრება დაურდვიეს, მაშინ იმან დაავინა ხელები (ისე გაუტკბას უფასო ფლავი), რომ მე შეუძლია გამომცვლად და მანარსებლამ და არა თქვენო! ასე ბოხად აიგდო სამკითხველს წვერნი. მას სამკითხველს ვაღიცი დაელო 31 მ. 74 კ., მაგრამ დღესაც არ შემოუტანია. ეს ამბავი რომ ლიტონ სიტუვათ არ ჩამომართვათ, შეგეძლიათ გადაათვალიეროთ 1898 წლის „კვალის“ 51 №, სცა ეს ყოველივე ნათლად არის მოხსენებული ტკბილად-ტკბილადის მიერ და ამასე ბ. კ—ძეს ჯერაც ზასუხი არ გაუცია.

ამის შემდეგ არჩეულ იქმნა კორესზონდენტის მიერ უშეკრად და უმსკავსად მოხსენებული „ყნწოსანი“. ეს „ყნწოსანი“ გახლდათ სამინისტრო სკოლის ზედამხედველი ბ. ერ. შ—ძე. ამან სამკითხველს აწვეილ-დაწვეილი საქმეები გამოასწორა, გამართა ხშირი წარმოდგენები და სამკითხველს მეტი ქანებრივი დონე შესძინა, მას შემწეობას აძლედა მის თანამეწეოთ არ-



ხეული ბ. ნ. კ—შვილი. ამ ორი ზირის გამგეობით საზოგადოებას მადლიერი იყო. სხამ შ—ქე აქედან არ გადავიდა და კერძო სკოლა არ დაასრულა, მანამდე კიდევ ემსახურა ამ წმიდა საქმეს. რომელი გამგე გაბედავდა, ბნო (ისიც ხიდისთავში), საშვილთაგანში მწვერვალი-მეძებრების შეუქმნა, ვის აბრძობებთ ასე! მაგრამ თქვენ რაღაც სხვა კუჭის ტკივილი გაქვთ ატენილი და იქნებ მივაგნოთ „სად მარხია მურას თავი!“

ბ. შ—ძის შემდეგ არჩეულ იქმნა კრების მიერ (კენჭის უყრელად) ერთი ვინმე, მაგრამ ეს არჩევანი იმავე კრებამ უკანონოდ იტრა და მეორე დღისთვის გადასდო, მეორე დღეს-კი სამსკანდად დაუდგეს უუთი და ერთი იმათგანი ბ. კ. კ—ქე აირჩიეს. საზოგადოებრივად უნდა მოგახსენოთ, რომ ხიდისთავის საშვილთაგანის უფლებების წვერნი განაგებენ, გამგეობა-კი კრების გადაწყვეტილებას სისრულეში მოჰყავთ. ბ. კ—ქის თანამშემწედ ჰყავდა მიხუნილი თქვენ მიერ ათვალწინებული „დონტური ანტონა“. ეს ორი ზირი თანაბარი შრომით განაგებდნენ საქმეს, მაგრამ ზირველმა ადრე დაანება თავი და მის ნაცვლად აირჩიეს მისი თანამშემწე ფერ. ან. ივ. რამიშვილი (თანამშემწეთ-კი „ილო“), რომელსაც თქვენ ისე იგონებთ, თითქმის ქვეყნის დაეზრდოს. კარგათ რომ დათქვებოდათ, ამ გამგეს უველასე მეტად მოიხსენებდით, რადგან ამის ხელში ბევრი საინტერესო ბიჯი წარსდგა წინ საშვილთაგანში. გარდა ამისა, ნეტავი ვიცოდეთ, ვინ მოგვით იმისი ნება და საბუთი, რომ დასცინით ამ ნდობა-დამსახურებულ ფერმადს და უძნით მას „დონტურ ანტონას“?!

ვინ თუ ესეც საქმე ჰგონიათ! საშვილთაგანის შენობა გაუვიდა. ტუილია! ეს კრების განხილვა ჯერ კიდევ მაშინდელია, რაც ის გამგეობა არ იყო. კრებამ იტრა ეს საჭიროება და სასარგებლო (აუცილებლად, რადგან ძველი საშვილთაგანის შენობა მდინარეს მიჭებდა), ის გაიყიდა და, თუ არ გეწინებთ, ახალი შენობა იგება კეკელსე, უფრო მხარობებულ ადგილას; ეს იქნება „სახალხი სახლი“, მხარობებულ საშვილთაგანს და სტენისთვის. წერის მადამ და განდიდების სურვილმა თუ შეგებოდათ, ხიდისთავში მცხოვრები თუ იყავით, ბევრ რამესე შეგებოდათ მიგებდათ უურადებას. მაგალ., აი „ხარხების“ მიერ დაარსებული მეეტლეთა ამხანაგობა (ეს ხომ მარხის მხედ და ამის მაგალითის ჩონატურადებაც მიჭბაქეს. ამ ამხანაგობის დაარსებაში მთელი ცდილიება მხანდინა ხიდისთავის არე-მარხისთვის—გაიათა და გაადვილა უფლებ-დღიური მიმოსვლა ხიდისთავის-გამარ-ბურგეთის შუა; მოგვცა საშუალება უფლებ დღე გასეთ-კორეს-მხანდინების მიღებ-გაგზავნისა. ეს ამხანაგობა ხომ ხიდისთავის ვაჭრებსა დაასრულა და მერმე სოფლებში მიიბირეს. ორი თქვენ მიერ ანდერძ აკრებული ხარხებიც ხომ არჩეულია ამხანაგობის მიერ: ერთი მოლარედ (თეიმურაზ) და მეორე (ილო) ბიძეთის გამოდევნად. ნახვდით კიდევ ბახარში სამ დუქანს, მოხელე ქალიშვილებით, ორს ხელქის საქსოვი უდგას, ხოლო მესამეს ჰყავს 10 მეტი მოწითლე ქალიშვილი და „მოდისტობას“. ეს ხომ წარსულ წელს იყო, რაცა ბირველი მაგალითია ქალთა ბახარში გამოსვლა „არსებობისთვის“. შეგებდნენ აგრეთვე უურადებობათ არ დაგეტოვებია, როგორ განვითარდა წარსულ წელში ხიდისთავში „სამედიტორთა საზოგადოება“, შეგებდნენ ადგილს-ხათ რა ბრძოლა გამოუცხადეს „ჯორჯონებმა“ სინათლეს და რა საშუალებას მიმართეს... შეგებდნენ... მაგრამ თქვენ შრომა-გონებს ქართულ ანდაზას: „ქათამა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკა“... იცოდეთ, რომ მე ზირსე ბადეს არ ვიფარებ და, როცა საჭირო იქნება, მზათ განსვარათ თქვენ-და სამსახურად*)).

აბ. წულაძე.

ეურნალ-გაზეთებიდან.

„კვალის“ უკანასკნელ ნომერში მოთავსებულს წერილს „სახალხი საქმეების გამო“-ს დიდად აუშოფოტებია ჩვენი აზრების კლასიკური გადამხანჯებული „ცნობის ფურცელი“ და თავის 6 მარტის ნომერში დიდ წერამას გვითვლის. მას მოჰყავს (მადლობა დემეტრის!) ჩვენი წერილის შემდეგი სიტყვები: „დასსრულე არ შემოიღია არ მივმართო „ხალხის შვილი“, ხალხის დამცველ მოღვაწეებს და არ ვუჩვენო იმ დამამცირებელ და სამარცხვინო გარემოებაზე, რომ, როგორც დავინახეთ, „სახალხი საქმეთა“ უფლებ-გვარი ასპარეზი დაკავებულა მათ მოწინააღმდეგეთაგან, მოჯადოებულია უმჯავანი „ინტელიგენტურ“ მომხმარებელ ზრინციებისაგან“ და სს. ბოლომდის, მოჰყავს რა ეს „ცნ. ფურ.“, კითხულობს:

„ესეც ახალი ზრცოგრესიული ზრინციბია არა? ხალხის სწავლა-განათლების საქმე, უფლებივე სახალხი საქმე ჩამოერთვის ინტელიგენტის და გადაეცეს... ვის? „კვალის“ ზრცოგრესის-ტებო? ნუ თუ ამ „მანიფესტის“, ბოღვის დამწერთ“?!

აბ, თუ შვილთაგან, ბოღვა სწორედ ეს არის! ძალიან ნათლადა თქმული, რომ უნდა ჩამოერთვას „უმჯავან“ ზრინციბით აღჭურვილ ინტელიგენტებს და გადაეცეს „ხალხის დამცველ მოღვაწეებს“. და თუ „ცნ. ფურცელს“ მთელი ინტელიგენცია მიანხია „უმჯავან“ ზრინციბების მატარებლად, მაშინ, რასაკვირველია, მთელ ინტელიგენციას უნდა ჩამოერთვას. მაგრამ, ჩვენის აზრით, ასეთი „ცნობის ფურცლის“ ინტელიგენცია, ხოლო სხვებს შორის მრავალი მოიპოვებია „ხალხის დამცველი მოღვაწე“, ნამდვილი ინტელიგენტი მოღვაწე, და აი ამ მოღვაწეთ გვსურს გადაეცეს სახალხი საქმეები. დასსრულე, გასეთს დღემდის ვერ წარმოუდგენია ის, რომ ხალხსაც შეუძლია მართოს არა თუ ისეთი წვრილი საქმეები, როგორც „სახალხი სახლი“, საშვილთაგანები და სს., არამედ მთელი სახელმწიფოებიც-კი, როგორც მაგ., ინგლისი, საფრანგეთი და სს... აი, ზრცოგრესისტს თუ იკითხავ, ეს ახარებელი გასეთია!

რადგანაც „ცნობ. ფურცელს“ ასე უკუღმართად ეუბრება თანამედროვე ცნობრება, რადა გასაკვირველია ნამდვილ ინტელიგენტს და ინტელიგენტურ მოვლენას დასცინოდეს და საღაუბოთ გამომჭებდეს. გასეთის იმავე ნომერში მოთავსებულია ერთი დიდი ფელეტონი, ამ სათაროთ: „ნუგეში შტირალს“, ლექსათ, ბ. კ. მუსაშვილისა. ავტორს მოუსურვებია ჩვენის ცნობრების ზოგს მოვლენასე სტირალს დაეწერა, ხოლო ნამდვილათ-კი ერთი გაუთავებელი, მოსწიქენი რითმების ჩმხვა გამოსვლია. აი, ეს ვითამ და სატირიკოსი, როგორ ინსენიებს ეგრძობის ერთ მეცნიერს და ჩვენს დაბალ ხალხს:

„გადიდეს მარქსის ბოღვა ნეტებზე,
აიღეს თარი... იწუეს გაღობა!
მზარეულებმა და დაჯებმა
მათ მისცეს მადე მადალი ბანი
და შეუერთდენ ანგელოზთ ჰიმნებს
სოციალ-დემოკრატების ხმანი“ და სს.

ავტორის სიტყვით: „ლექსებს ხომ ეგვანს სწორენ, ვისაც აქვს მანც ცოტა მეღანი“ და „გუჭად ქვეყლის გულის ძკრანი“-ა და რადგანაც თვითონ მასაც მეღანი ბევრი ჰქონია და „გულის ძკრანიც“, ამისთვის ლექსების თხზვას შესდგომია და დაუწერია ეს, უკაცრავათ ზსუხია, „სტირალს“...

*) ამ წერილში მოყვანილ ფაქტების დამამტკიცებელი საბუთები უკვე მივიღეთ და ძალიან ვწუხვართ, რომ ჩვენს კორესპონდენტს ვერღვეით და მით შეცდომაში შევედით.

მკითხველთა წერილები *

„ცნობის ფურცლის“ ცხურველ მკითხველს (№ 1401) „კვალის“ შენიშვნები თავისებურად, უკუდამართად გაუგია და გამოუღამებია კიდევ. მეც ცხურველთა კასტისა და არც ერთ დასს არ ვეკუთვნი, ე. ი., არ ვარ თავ-გამოდებით მოტრთიალე ბ. ნ. თავდგირიძის და მისი ცხურველის „სტრასტობის“, არც ვარ იმ მოწინააღმდეგეთა დასში, რომელიც ბ. ცხურველმა ერთი კალმის მხმით, უსაბუთოდ ეგელანო დაამხინჯა და უწოდა მათ „მაგნე ბორტინი სსზოკადოების წევრნი“. „კვალის“ მიერ წარმთქმული აზრი მე სხვა რიგად შესმის და ვერ ვუთხნებუი ცხურველს, რომელსაც, ვინ იცის, რა გულის-ტკივილი აქვს... „კვალი“ სწერს: „ჩვენ სამწუხაროდ ისე არ მიგვაჩნია, რომ ლაღლუა დამარცხდა, არამედ ის, რომ ლაღლუა დამარცხდა არა ხარტიული ბრძოლის ასპარეზზე, არამედ სრულიად გარეშე ძალით. ის დამარცხდა არა ცხობიციამ, არამედ მთავრობამ“. ქვევით—„ასეთი საქმე დაემართა ცხურველის ქალაქის თავსაც და იმავე მისაზრებით ჩვენ ეს სამწუხაროდ მიგვაჩნია“—სწერს „კვალი“. ე. ი., „კვალს“ სამწუხაროდ მიაჩნია ის, რომ ცხურველის თავი—უკეთუ ამის დირსი იყო—ვერ მოიშორა თვით ცხობიციამ და ვერ გააშავეს, რასაც მეტადინებდენ კიდევ, არამედ შუაზე განდგა მესამე პირი—მთავრობა—და იმის მიხედვით დამარცხებულ იქნა როგორც ქალაქის თავი, ისე თვით ცხობიციის წევრნიც. „კვალის“ აზრი მე ასე შესმის—მას სწეინს ცხურველის თავის მასუხის-გუბაში მიცემა მთავრობის მიერ. ცხურველთა-კი „გაუგუტბია“, ჩვენი ნიკო ლაღლუას როგორ შეაღარა!..

ოზურგეთელი II.

„კვალის“ შექვეყნებში საუბრადღებო შენიშვნა არის მათავსებული ბ. ბაკურიასი. ავტორი გავსისხეებს 1895 წ. ერთს გარემოებას იმერეთის უგანთლებულესი თავადის განსვენებული ად. ბატონიშვილის ცნებრის გარემოში მომხდარ. აქ, თანხმად აწ განსვენებულის გ. წერეთლის წინადადების, შესდგა წყე, რომელსაც უნდა დაეარსებია თონდი ბატონიშვილის სახელის სახსოვრათ. განუღო მას აქეთ რამდენამე ხანმა და ამის შესახებ არა ისმდარა. ამის შესახებ ბევრჯელ თვით უგანთლებულესს კებინა ნიდიტარასაც ქქონია ჩემთან ლაზარაკი და ბრძანებდა, სტირაო ეს მივიწვეული საქმე გასეთმა გამათხიზდოსო... 1896 წლის „კვალის“ 32 №-ში ამფიკითხეთ, რომ ამ საქმის მეთაურებას კისრულბებს შორახნის მზრის თავადსზაურთა უწინდელი წინამძღოლი თ. მიხეილ ზურაბის ძე აბაშიძე და ამ სიმშატოურ საქმის განხორციელება მხაც თავის მხრით მიანდო ამ პირთ, რომელნიც ჩამთუღიღნი არიან ბ. ბაკურიას წერილში. იმათ შორის მხლდოდ კიანბიკა გარდცვაღებული, თორემ სხვები ეგელანი ჯანმრთელად არიან და, მიკვირს, თუ არ შეუძლათ ამ ზირთ ამ სხატოი საქმის შესრულება, რათ ირჩივდა იმათ მარშალი თ. მ. ზ. აბაშიძე? მე დარწმუნებული ვარ, იმათ რომ მოენდომებიათ და თავიანთ ნაცნობებისკან თითოე აბაზიც რომ შეეკრიბათ, დიდ თანხას შეადგენდა, მაგრამ აქ სურვილი იყო სჭირდო და სხვა არათერი...
მე ჯერჯერობით ამ სხატოი საქმის სასარკებდოთ 2 მა-

*) ამ სათაურით ჩვენ მოვათავსებთ მკითხველთა წერილებს ამა თუ იმ კითხვის, ან დასტამბულ წერილების შესახებ. მხოლოდ სასურველია წერილები მოკლე იყოს. რედ.

ნეთს*) ვსწინავ და შემდეგისთვისაც, იმედი მაქვს, შემწობი აღმოვუჩინო, თუ ეს დაწეება ზოგიერთ საქველმობედ საქმეისთვის საფიოთ არ განისვენებს წილსა შინა აბრამისას.

ყარსის რკინის გზის სადგურ ჯაჯუროს უფროსის თანამემწე ვარდენ ყოფიანი.

*) ეს ფული მივიღეთ და რედაქციაში ინახება. რედ
რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.
ქართული თეატრი
გ გ ი რ ა ს, 11 მ ა რ ტ ს
— თავ. რაშიმე მრისთაშის სასმომრად —
გამართული იქნება
სალიტერატურო საღამო

I
ზიდიასთან გამოხუმრება
კომ. ორ მოქ. რ. ერისთავისა.
მოთამაშენი: ქალ. მარ. საფარავისა; ბ.ბ. გ. აბაშიძე,
კ. ყოფიანია, კ. მესხია, გ. გუნია და სხვ.

II
თავ. აკაკი წერეთლის სიტყვა რაფიელზე,
წარმთქმული თვით აკაკისკან.
ბ-ნ ფალიაშვილის ხორო შიასრულბებს ქართულ
სიმღერებს.

III
ღიპერტისმენტი
წავითხული იქნება რაფიელის ლექსები და სტენები.
წიკითხვენ: ბ. სოფ. მგალაბდიშვილი, კ. მესხია, კ.
ყოფიანია და სხვ.

დასასრულ აკოთიოსი
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწეისი 8¹/₂ სსათზე.
დრამატოული საზოკადოების მმართველობა.

ბაქოში ქართველთა მიერ შემდგარმა ამხანაგობამ
„ი ვ ე რ ი ა მ“

რომელსაც საგნად აქვს ნავთის და ყოველგვარ მთა-მად-
ნეულობის საქმის წარმოება,—უკვე აიღო იჯარით ნავ-
თიანი მიწა სანაგოთო აგარაკ „საბუნჩაში“ და ამ მოკლე-
ხანში აპირებს შეუდგეს ნავთის საწარმოებელ მუშაობას.
ამასთანავე, საქმის გასაღიღებლად და მიკვირ ნია-
დაგზე დასამყარებლად, ამხანაგობამ საჭიროდ სცნო, ძი-
რითადი თანხა გაადიღოს და, ამის გამო, გამოსცეს **და-
მატავიტი** პაები, თითო პაი 100 მან. ღირებული.
გამგენი ამხანაგობისა, ვაუწყებთ-რა ზემოხსენებულს,
უმორჩილესად ვთხოვთ, ვისაც დამატებითი პაის შეძენა-
შსურს, მოჰმართოს ამხანაგობას შემდგვის აღრესით:
Въ гор. Баку. Князю Юсифу Полоновичу Дадіани. Въ
Контору Торгово-промышленнаго Товарищества „ИВЕРІЯ“,
по Меркурьевской улицѣ, въ домѣ Арафелова.
ამავე ადრესით უნდა გამოიგზავნოს ფული.
გამგენი ამხანაგობისა, სამთო ინყენენი: { თ. ი. ი. დადიანი
{ თ. დ. გ. ჯორჯაძე
(5—1) { პ. ვ. ბრაილოვსკი.

თფილისის ქალაქის გამგეობა
საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის ქუჩებში
ჩარგული ხეები შეადგენენ ქალაქის საკუთრებას
და არა სახლის პატრონისას.